სახალხო გაზეთი

№ 1144 ხუთშაბათი, 20 მარტი 1914 წ. № 1144

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდა პირველ გვერდზე თითო-ჯერ ხდომის 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის ოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება ,,სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად ძლლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი №12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ.
ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

მიიღება ხელის მოწერა 1914 წლის

,სახალხო გაზეთზე'

(სურათებიანი დამატებით)

წლიურ ხელის მომწერთ პრემიად მიეცემათ:
1) ქართველი მწერლები, 2) უცხოეთის მწერლები, 3) სამეცნიერო კრებული.
წლიური ფასი 8 მან. 50 კაპ.
მისამართის გამოსაცვლელი 40 კ., პრემიების გასაგზავნი 60 კ.
ნაწილ-ნაწილ ფულის გადახდა შეიძლება შემდეგ ვადებზე: პირველ აპრილამდე 5 მან., პირველ თიბათვემდე 2 მან. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ენკენისთვემდე.
მისამართი: Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети" П. Ящ. 190

მიიღება ხელის მოწერა

არჩილ ჯორჯაძის

თხზულებათა მე-5-ე ტომზე.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ 23 მარტამდის **ტფილისში:** ,სახალხო გაზეთის" რედაქციაში და ქ. შ. წ.-კ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზიაში. **ქუთაისში** სანდრო გძელიშვილთან და **ქუთაისში** ისიდორე კვიცარიძესთან, **შიათურაში** შავი ქვის მრეწველთა კანტორაში გიორგი ნანეიშვილთან და **ბათუმში** ტრ. ინასარიძესთან.
წმინდა შემოსავლის ნახევარი გადაიდება **არჩილ ჯორჯაძის** ძეგლის სასარგებლოდ. **ფასი ხელის მოწერით 80 კაპ.**

ექიმი მ. დ. წინამძღვრიშვილი ღრმა მადლობას უცხადებს ყველა იმათ, ვინც პირადათ ანუ ტელეგრამებით პატივი სცა მის უდროოთ დაკარგულის, ძვირფასის და დაუვიწყარის მეუღლის

ანასტასია გრიგოლის ასულის წინამძღვრიშვილის

ხსოვნას. 1125

ძმ. ზუბალაშვილების სახელობის სახალხო სახლში
„ხარებობას", სამშაბათს, დილით 25 მარტს,
„ტფ. პირველი ქართ. მუშათა მომღერალ-მგალობელთა გუნდი".
(დაარსებული 1912 წ.)
მიხ. კავსაძის ლოტბარობით მართავს ფონდის გასაძლიერებლად მეორედ

„დიდს სახალხო კონცერტს",

(3 განყოფილებად),

50 კაცისაგან შემდგარი გუნდი გლეხურად გამოწყობილი შეასრულებს სოფლის ცხოვრებიდან პატარა სცენებს სიმღერა-თამაშით: „ქონას", „მკას", „რამდლურს", „ფერხულს" და „ცანგალას".
კონცერტის დაწყებამდე ბ. ი. კარგარეთელი წაიკითხავს მოხსენებას ,,ქართულ ძველ სიმღერა-გალობის შესახებ".
ფასები სახალხოა 5—50 კ. ბილეთები იყიდება ვასილ საგანელიძესთან, ანდრია ბაქრაძესთან ავჭალის ქ., № 19, და თეატრის კასაში დაწვრილებით პროგრამაში.
გამგენი გუნდისა ალ. დეგითურლიანი, ანდ. ბაქრაძე, გ. საგანელიძე, არ. ურდანია, ივ. ქარხელაძე. დასაწყ. შუადღ. 12 ს. 187

ტფილისის კერძო სამკურნალო

ქაშუეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცლის სასტუმროს ახლოს.
ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.
სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახებით განსაკუთრებითი ხაშმობიარო განყოფილებით.
მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

შინაგანი სნეულებანი.	**მანჯგალაძე მ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. **მაღალაშვილი გ. ზ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. ს. **ფიდოროვი ი. გ.** ყოველ დღე, 11—12 **კიკალეიშვილი პ. ლ.** ყოვ.-დღე 1-ნახ.—2 ს
[illegible]	**მარკოზოვი მ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1. **ფირადოვი რ. ზ.** ყოველ დღე 12—1.
[illegible] და ს.მშობ. სნეულებ. ბანი.	ექიმი-ქალი **მერზიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12. **თიკანაძე ი. ი.** ყოველ დღე 1—2. **მელიქიშვილი ე. მ.** ყოველ დღე 10—1.
ბავშვთა სნეულ.	**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. **ფიდოროვი გ. ს.** ყოველ დღე 11—2. **კიკალეიშვილი პ. ლ.** ყოვ-დღე 1-ნახ —2 ს.
ნერვიულ სნეულებ. და ელექტ.	**ჯაჯანიშვილი ნ. ნ.** სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1. **ფონდოევი გ ს.** ყოველ დღე 1—2.
[illegible] ყურის და ცხვირის.	**ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი გ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენერ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wasserman. რჩევისათვის 50 კ. საწოლი 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და შიგნებას კატეტერიზაცია, „606" და ,,914" წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა, შეღავათიანი საფასურით. ფ. 1070

ტელეფ.- ქართული თეატრი ნი № 795.

ხუთშაბათს, 20 მარტს, 1914 წ., ქართ. დრამ. საზ. დასის მიერ **ნ. ჩხეიძის** სა და **ვ. აბაშიძის** მონაწილეობით წარმ. იქნება კარეევის ცნობილი პიესა:

უბედური ნაბიჭი,

დრ. 3 მოქმედებად, თარგ. შ. დადიანისა.

II) **ადვოკატთან,** ვოდ. 1 მოქ. ვ. გუნიასი.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

დასაწყ. სწორედ საღ. 8 საათ. ✦ ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

1078 რეჟისორი **მ. ქორელი.** ადმ. ქარ. დრ. საზ.

ტელეფ. **ხარფუხის სახალხო აუდიტორია** № 11 79

(კლუბის შენობაში)

ხუთშაბათს, 20 მარტს, ხარფუხის სახ. წარმოდგ. მმართველ **წრის** მიერ

წ რ ი ს რ ე ჟ ი ს ო რ ი ს

ს. გ. პეპანოვის საბენეფისოდ

წარმოდგენილი იქნება

დღენი ჩვენი ცხოვრებისა

დრამ. 4 მოქ. ლ. ანდრეევისა.

მონაწილეობს წრის მთელი დასი. ✦ **დასაწყისი საღ. 8 საათ**

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში საღ. 5—9 ს.

196 მორიგე წევრი გ. შათირიშვილი. რეჟისორი ს. პეპანოვი.

კ. ი. ზუბალაშვილის სახელობის ძალ. სახალხო სახლი

შაბათს, 22 მარტს, 1914 წ. სახ. სახ. არს. ქართ. სახ. წარმ. მმართ. წრის **ქ-ნ ო. ლეჟავას, ბ-ნ ვ. აბაშიძისა** და **კ. ყიფიანის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ა. ცაგარლის 4 მოქ. პიესა:

ციმბირელი.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: ო. ლეჟავა, მ. რომანიშვილისა, რუისპირელი, ე. ციმაკურიძე. ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, ანაშვილი, ნ. ვაქევილი, ზურაბიშვილი, ალ. მეტრეველი, რომანიშვილი, კ. ყიფიანი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე, ადგილების ფასი 5 კ. 50 მ—დე.

1002 რეჟ. თ ნაშემწე **ალ. გუგუშვილი.** ქარ. სახ. წარ. მ. წ. ადმინ.

გორის პირველი კერძო

სამკურნალო

ქირურგიულ და ტერაპევტიულ (**შინაგანი სნეულებათა**)

გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ე ბ ი თ.

კუთხე სოხორისი და სემინარიის ქუჩისა, სახლი ზანგურიძისა.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 20 საწოლით.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ დროს.

გარედან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები:

კობერიძე მ. ს. ქირურგიული, სამშობიარო და დედათა სნეულებანი ყოველ დღე 8—12 ს.-მდე.

წინამძღვარიშვილი მ. დ. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ დღე დილ. 9—12 ს.-დე გარდა კვირისა.

მესხიშვილი ს. ს. ქირურგ. სნეულებანი, ყოველ დღე 12—1 ს.-დე.

ბრიუკნერი მ. გ. თვალისა და ვენერიული (ათაშანგის) ავადმყოფ. ყოველ დღე 1—2 ს.-დე.

გინზბურგი ა. ლ. კბილისა სნეულებანი ყოველ დღე 2—9 ს.-დე.

რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული, ცალკე ოთახი 4 მ.-დან.

ოპერაციები, კონსილიუმი, ელექტრონით წამლობა, მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება, შეხვევა და სხვა შეღავათიანი ფასით.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. გასინჯვა: სისხლისა, შარდისა, ნახველისა, კუჭის წვენისა და სხვა **წამლობა „606", „914".** 1088

ახლად გაიხსნა

სასტუმრო სასადილო

„სინათლე"

საუცხოვო ახალ-ახალი სანოვაგე. ცოცხალი თევზი. სტუმრებისადმი ზრდილობიანად მოპყრობა. ნადიმის გაგრძელება ღამის ორ საათამდის. ნიკოლოზისა და ნეკრასოვის ქუჩა.

ყოფილი „**სიცილია**" და „**არარატი**"

1077 პატ. ცემით ძმ. ხელაშვილები იგივე „**ქოსები**".

ვაგზლის სამკურნალოში

(**შიხინთვის ვაგზლის აფთიაქის გვერდზე, ვაგზლის ქუჩა, № 8. ტელეფონი 695**)

მიიღებენ ავადმყოფებს 11 საათიდან 3 საათამდე.

ნათიშვილი—ვენერიული და კანის ავადმყოფ. 10—11 ს.

გინასოვი—ქირურგი, 11—12 საათამდე.

პაპოვი—ყურისა, ცხვირისა და ყელის ავადმყოფობანი 11—11½ საათამდე.

ციციშვილი—შინაგანი და ნერვების 11—12 საათამდე.

ექ. ქალი იოსელიანი—ქალური ავადმყოფობანი, კვირაობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით 11—11½ ს.

სამხიდრო ეჭ. კლდიაშვილი—შინაგანი და ბავშვების სნეულებ. 11—12 ს.

მაშაკიძე—შინაგანი და ბავშვების სნეულებანი, საღამოს 6—7 საათამდე.

ყვავილის აცრა, ძიძათ შემოწმება და სხვ.

რჩევის საფასური—50 კაპ.

წამლობა „914".

1023

არტისტიულ საზოგად. საკონცერტო დარბაზში

კვირას, 23 მარტს, 1914 წ.

პეტერბურგის ცნობილი ლიტერატორი

ი. მ. ვასილევსკი

(„ნე-ბუკვა"),

წაიკითხავს **ლექციას** შემდეგ თემაზე:

ოჯახის დანგრევა,

(ჩხუბი მამაკაცებისა და დედაკაცებისა. ცოლები და ქმრები. მამები და ბავშვები).

დაწვრილებით აფიშებში და პროგრამებში. ბილეთები 3 მ.—55 კ. დასაწყისი 8-ნახ. ს. წინდაწინ ბილეთები იყიდება ი. დ. კიკნაძის წიგნის მაღაზიაში „ნოვაია რეჩი", გოლოვ. პრ., სახაზინო თეატრის პირდაპირ და არტ. კლუბში შესასვლელთან საღ. 6—8 ს. 198

საერო ტელეფონი № 720. საერო

კახური ღვინოები

საერო-ს

ამხანაგობისა

ი ყ ი დ ე ბ ა

კავკასიის ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოებაში და ყველა საუკეთესო საბაკალეინო და გასტრონომიულ მაღაზიებში.

კანტორა და მთავარი საწყობი ერევნის მოედანზე, თამამშევის ქარვასლაში.

საერო ტელეფონი № 720. საერო

1108

ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება

ახლად მიღებული წიგნები:

ან-ფურო. Грузинскіе хизаны и идіологи хизанства. ტ 1913, . 20 კ.
ს ლ. ავალიანი. Крѣпостное право и исторія Крестьянской реформы въ Тифл. и Кут. губ., ოდესა, 1912, . . . 2—50 ,,
Крестьянская реформа въ Мингр., Сван и. Сухумск. отд., ოდეს. 1913, 1— —
Очерки по крестьянскому вопросу въ Закавказьѣ, . . . 30 ,,
Опытъ Исторической хрестоматіи, ოდესსა, 1913, . . . 1—
МАРРъ. Опредѣленіе языка второй категоріи Ахеменидскихъ клинообразныхъ надписей, პეტ. 1914, —75 ,,
ვედრების. Нетронутый уголокъ, —60 ,,
გოგებაშვილი. წყურვილი, დრ. 4 მ. —30 ,,
ი. როსტომაშვილი. გონიერი და იაფი მიწათ-მოქმედება-მეურნეობა, —10 ,,
—ღორის მოვლა და მოშენება, . —20 ,,
—როგორ უნდა ვასწავლიდეთ, . —10 ,,
—როგორ არის მოწყობილი სწავლის საქმე ბოლგარიაში . . . —10 ,,
—სადღესასწაულო ზნეობრივი აღზრდისა, —10 ,,
ნ. ნიკოლაძე. მამულის სიყვარული და მამულიშვილობა, . . . —20 ,,
ჰენრიხ ჰეინეს ლექსები. ტფ. 1913, —60 ,,
ს. ქვარიანი. შოთა რუსთაველი და მისი დრო, ... —30 ,,
კელენჯერიძე. გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა, ქუთ. 1913, . 12— ,,
მწერალთა ოთხი, სათამაშო, შედგ. თამარა თაქთაქიშვილისაგან, 1914, —60 ,,
ი. ჭავჭავაძის თხზულება, ყდით, 10 მან.

ადრესი: Тифлисъ Книж. магазинъ О-ва гра . ср. гр. нас. 1072

განცხადება

ქართულ სამეურნეო

საზოგადოების

წევრთა საზოგადო კრება

დანიშნულია 25 მარტისთვის, შუადღის 12 საათზე კავკასიის საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოების შენობაში.

განსახილველი საგნები:

1) საზოგადოების მოქმედების ანგარიში.
2) ახალ წევრთა მიღება.
3) გამგეობის წევრთა არჩევნები.
4) სარევიზიო კომისიის არჩევნები. 1124

ელექტრონის, რენტგენის, სინათლის

სამკურნალო

საწოლი ოთახებით

მიხეილ გედევანიშვილისა

წვრილით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791.

1094

საგურამოზე

მშვენიერ ადგილას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდურის მომავალ ხიდის მახლობლად დაიყრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაწილებად ხელმისაწვდომ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ თელავს ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმთავრესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. 1073

ექიმი

პავლე არდაზიანი

შინაგანი და ბავშვების სნეულობა. ავადმყოფებს მიიღებს დილის 12—2 ს. საღამოს 5—7 ს. ალექსანდრეს ქუჩა, № 3. 1022

ექიმთა საზოგადოების

სამკურნალო

მუდმივ საწოლებით.

(მიხეილის შესახვევი № 49 და რეუტოვის ქუჩის შესახვევი № 2.

ტ ე ლ ე ფ. № 1026.

ავადმყოფების მიღება:

აბაჯანოვი მიხეილ — საშარდე, სიფილის. და კანის სნეულ. 11—12 ს.

ეგიაზაროვი ი. ნ.—შინაგ., ნერვ. და სულის სნეულ., ელექტროთერაპია, 11—12 ს.-დე.

ელჩიბეგი მ. რ.—ყურ., ცხვირ. და ყელისა, 12—1 ს.

ელჩიბეგი ლ. რ.—ქალის სნეულ. და ბებიობია. 12—1 ს.

კიმონტი მ. პ.—სადოსტაქრო სნეულებანი 11—12 ს.

მაგაკიანი მ. ნ.—შინაგანი და ბავშვებ., სნეულ., სპეციალურად კუჭისა და ნაწლავ., 1-ნახ.—12 ნახევარ ს.

სამკურნალოში ჰწამლობენ ელექტრონით, მასაჟი, მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, ყვავილის აცრა, ძიძების გასინჯვა, რჩევის ფასი 1 მან., ოპერაცია, კონსულტაცია, მორიგებით. სტაციონალური (საავადმყოფო) განყოფილება საერთო პალატისა გან შედგება.

შეშხაპუნება „914", „606". 1040

სამკურნალო
სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა
გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ. ბაღ. მახლობლად
ტელეფონი № 481.
ავადმყოფთა მიღება: დილის 10 საათიდან საღამოს 5 ს.-დე.
აბულაძისა. შინაგანი სნეულ. ბავშვებისა, ყოვ.-დღე 2—3 ს
ბელანჟე. ბავშვ. შინაგ., ავადმ., ყ.-დღ., 10—11½ ს.
ბოთკევსკი. ბავშვ. შინაგ. ავადმ., ორშაბ., ოთხშაბ., და პარასკ. 4—5 ს.
ერმოლენკო—შინაგანი ბავშვებ. ყ.-დღე 1—2 ს.
ვორობიოვი—ბავშვ. შინაგანი სნეულებისა. სამშაბ., ხუთშაბ., შაბ. და კვირ. 4—5 ს.
გნუჩკოვი—ქირურგ. ავადმყ, ყოველ-დღე 11—12 ს.
ზამბა, სადოსტაქრო; ყ.-დღ., 1—3 ს.
ასმახოვი—ყურ., ყელ. და ცხვირ. ავად. ყ.-დღე 1—3 ს.
რუდენკო. შინაგანი ავადმყ. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.
ჩუდნოვსკი—ძარღვ., სულ., ავადმ., ელექტრო-ტერაპია, ყოვ.-დღე გარდა კვირისა, 11½—12½ საათ.
თეთრაძე. სიფ., ვენერიული და კანის სნეულ. ყოვ.-დღე 1—3 ს.
მხიტარიანი. ვენერიულ, კანისა და საშარდე სნეულ. ყოვ.-დღე 4—5 საათ.
ნოვიცკი. ბებია-ქალი, ყოვ.-დღე 1—2 ს.
კალამკაროვი. ბებია, ქალურის სნეულ. ყ.-დღ. 12—1 საათ.
ექ. ქალ. იოხელსონი. ქალური სნეულ ორშ. ოთხშ., პარასკ., და კვირ. 11—12 ს.
გეინაცი—თვალისა ორშ., ოთხშ., და პარასკ. 4—5 ს.
ხოდნევი—თვალ. ექ. სამშ, ხუთშ., შაბ. და კვ., 4—5 ს.
ბაგდოევი—კბილ. იღებს ყ.-დღე დილი 10—11 ს.
სათვალეების არჩევა.
კონსულტაცია, ოპერაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ჰიპნოზი, ანალიზი, ძიძებისდა მოსამსახურეთა გასინჯვა. „Wasserm an"-ის რეაქციით სიფილისიან სისხლის გამოკვლევა. 1082

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი
ა. გ. მეგრაბიანცი
იღებს შინაგან სნეულებათა ავადმყოფებს. სწამლობს ფილტვებისა—ჭლექი და გულის სნეულებათ. სპეციფიურად ჭლექისათვის შეფარდებული წამლობა, ხელოვნურ. პნევმოტორ. განათება, ფილტვებისა და გულისა ფოტოგრაფიულად გადაღება და აგრეთვე ელვისებურ რენტგენის სხივებით გადაღება სხეულის სხვა ნაწილებისაც. ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამ. 5—7 საათამდე, კვირაობით დილ. 9—12 ს.-დე. ღარიბებს წამლობა დილ. 9—10 ს.-დე უფასოდ. ბებუთოვის ქ. 23. ტელეფ. 7—92 1087

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი
ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.
იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12, აქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი. 1011

ექიმ ლ. ლ. გოცირიძის
სამკურნალო
ქალ. ბაქოში
მუდმივ საწოლებით:
სულით-ავადმყოფებისა, ამზნიანებისა და ლოთებისათვის.
ფასი მორიგებით.
ადრესი: Баку, магазинная, № 50. 1084

ექიმი ქალისა ნინო რცხილაძე.
გადავიდა მოსკოვის ქუჩა № 9.
იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს.

ექიმი ზ. ა. მიქელაძე
მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 6 საათიდან 7 საათამდე მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 8—16

ქ. გორში
ექიმი (დოქტორანტი) მ. დ. წინამძღვრიშვილი
ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა.
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. ავადმყოფობანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სპეციალურად. იღებს დილის 9—12 საათამ. გორის სამკურნალოში, დანარჩენ დროს სახლში. სამღვდ ქუჩა ქალების გიმნაზიის პირ. 1050

ექიმი ვ. მუსხელიშვილი
მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

ექიმი ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს, ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, სახ. გაბაშვილისა.

ნახალდევში
ხუდადოვის ქ., 2
ექიმი ი. რ. ხუნგულაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 9—12 ს., საღამოთი 4½—7 საათ. შინაგანი და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს. 141

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
სწამლობს საშარდე ორგანოთა, თმის ცვენისა და კანის ავადმყ.: ვასერმანის რეაქციით იკვლ. ანა-ზიზ. მოწამლ. სისხლ. მიღება ნაშუადღ. 3 — 5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კირონნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 1080

ტფილისი, 20 მარტი

რუსეთის მეორე საყოველთაო აღწერა. 1915 წლისთვის განზრახულია რუსეთის მეორე საყოველთაო აღწერა. მინისტრთა საბჭომ აღწერის დებულება მოიწონა და მის სისრულეში მოსაყვანად გადასდო 11,368,427 მანეთი.

საყოველთაო აღწერას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. იგი საშუალებას გვაძლევს, რამოდენადმე მაინც წარმოვიდგინოთ მცხოვრებთა საერთო რიცხვი, მათი ქონებრივი მდგომარეობა და სხვა. რა თქმა უნდა, სრულიად რუსეთის ერთ დღეს მომხდარი აღწერა სრული არ იქნება, მაგრამ იგი მაინც საკმაოდ დიდს მასალას მოგვცემს და დაგვანახვებს, რამდენად წინ წაიწია რუსეთის განვითარებამ დღიდან პირველი აღწერისა. იქ, სადაც საერობო თვითმმართველობანი არსებობს, მათის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით ჰხდება საგანგებო სამაზრო და საგუბერნიო აღწერა, რაც მეტს გარკვეულობას აძლევს მცხოვრებთა რაოდენობასა და მათს კულტურულ მდგომარეობას. ჩვენში ამავე ფუნქციებს ასრულებს მეფის მოადგილის კანცელარიასთან არსებული სასტატისტიკო ბიურო, რომელიც, რა თქმა უნდა, ამ საქმეს ისე ვერ უძღვება, როგორც საერობო თვითმმართველობა გაუძღვებოდა. ამიტომ არის, რომ „კავკასიის კალენდარში" მოთავსებული სასტატისტიკო მასალა სრულიად არავის არ აკმაყოფილებს და მხოლოდ ძალა-უნებურად სარგებლობს მით სხვა და სხვა საკითხების გამორკვევის დროს.

ამისთანა პირობებში რუსეთის საყოველთაო აღწერას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის. ის ცნობები, რომელიც ამ აღწერით შეიკრიფება, მაჩვენებელი უნდა იყოს იმისა, რამდენნი ვართ ქართველები, რანაირია ჩვენი დღევანდელი კულტურული მდგომარეობა რამდენად გაიზარდა წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი და სხვა. მთელი ეს მასალა საფუძვლად დაედება სტატისტიკას, რომელსაც მრავალი მკვლევარი და საზოგადო-პოლიტიკური მოღვაწე საფუძვლად დაუდებს თავის მსჯელობას საქართველოს შესახებ. თუ მივიღებთ მხედველობაში, რანაირად სწარმოებდა პირველი საყოველთაო აღწერა და რანაირი დამახინჯებული ცნობები მოჰყვა სტატისტიკაში ქართველების შესახებ, ჩვენთვის ცხადი უნდა გახდეს, რომ ქართველმა საზოგადოებამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს მომავალ აღწერას და მომზადებული დახვდეს მას.

ვინ არ იცის, რომ ზოგიერთი გარემოება ძალიან აფერხებს ქართველთა შესახებ სწორი ცნობების შეკრებას. ძნელდება ეს განსაკუთრებით მაშინ, როდესაც თვით ქართველი საზოგადოება გულ-გრილად ეკიდება საქმეს და აღწერის დროს მუშაობენ ისეთები, რომელნიც ძალიან ნაკლებად არიან დაინტერესებულნი ქართველთა სვე-ბედით. მოგეხსენებათ, არსებობენ მართლმადიდებელ ქართველთა გარდა, ქართველი მაჰმადიანები და კათოლიკენი. ძალიან ხშირად ქართველ მაჰმადიანებს თათრებადა სწერენ და ქართველ კათოლიკებს კი—სომხებად. ამის მსგავსი მოვლენანი ხშირი იქნება მომავალი საყოველთაო აღწერის დროს.

გარდა ამისა, სისრულე აღწერისა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად კარგად იქნება მოწყობილი ორგანიზაცია აღწერისა და რამდენად შეგნებულად შეხვდება მას ხალხი. ძალიან ხშირად ხალხს აღწერის მნიშვნელობა არ ესმის და, დაშინებული გადასახადების მომატებით, გაურბის ნამდვილი ცნობების მიცემას. ყველა ამას თუ მივიღებთ მხედველობაში, ჩვენთვის ნათელი გახდება, რანაირ გზას უნდა დაადგეს ქართველი საზოგადოება ეხლავე, რათა მომავალ აღწერას დამზადებული დახვდეს. უპირველესად ყოვლისა საჭიროა წინდაწინვე საქართველოს უმთავრეს ადგილებში შეიქმნას პატარ-პატარა ჯგუფები, რომელთა დანიშნულებაც ის იქნება, რომ ცნობაში მოიყვანოს, საქართველოს ყოველ კუთხეში რომელ ორგანიზაციას, ან კერძო პირს შეუძლიან იკისროს მონაწილეობის მიღება.

ამასთანავე მომავალ აღწერაში ერთად საჭიროა წინდაწინვე მომზადება ხალხისა, ახსნა-განმარტება აღწერის მნიშვნელობისა და სხვა.

საზოგადოებას საშუალება აქვს ფართო ინიციატივა გამოიჩინოს ამ საქმეში და წინდაწინვე მოემზადოს, რათა აღწერა ჩვენში რაც შეიძლება სრული და დღევანდელი მდგომარეობის ნამდვილი გამომხატველი იყოს.

ქართული პრესა

საკვირველი ბედი თან სდევს ჩვენს ეროვნებას. წარსულში არ ყოფილა არც ერთი ისტორიული და არა—ისტორიული ერი, რომელსაც ფეხით არ გაეთელოს ჩვენი ვინაობა. დღესაც ასეთს მდგომარეობას განვიცდით: ვინ გინდათ, რომ ჩვენს გადაგვარებას და განადგურებას არ ფიქრობდეს. ამას წინად ვინმე არაბი ურჩევდა ბათუმელ მაჰმადიან ქართველობას თათრულ ენაზე განვითარდითო, ზაქათლის ოლქში ოსმალეთიდან გადმოსული ხოჯები მაჰმადიან ქართველებს ასწავლიან, ქართულად ნუ ლაპარაკობთ, თორემ ავად გახდებითო; მეგრელებს ქართველობას უკრძალავენ და თვით ქართლ-კახეთსა და იმერეთში ქართული ენის სწავლება ლამის სახელმწიფო დანაშაულად გამოცხადდეს...

აი, ნახეთ, რას სწერენ „ჩვენს ერს" ხონიდან. არსებობს კანონი, რომელიც ჯერ არავის გაუუქმებია, რომლის ძალით ხონის სემინარიაში ქართულ ენას ყველა კლასში კვირაში 12 გაკვეთილი უნდა ჰქონდეს და ქართული ენის მასწავლებელი შტატში უნდა ირიცხებოდეს. მაგრამ სახალხო სკოლების დირექტორებისა და ინსპექტორების უკანონო განკარგულებით კანონი მიმალულია და ქართული ენის გაკვეთილების რიცხვი განახევრებული.

„ქართულ ენას სემინარიაში ამჟამად საკუთარი მასწავლებელი არა ჰყავს. მოსამზადებელ განყოფილებაში მას ასწავლის სხვა საგნებთან ერთად გოგვაძე, ხოლო დანარჩენებში მათემატიკის მასწავლებელი ხარაბაძე. გ. ხარაბაძეს ბრალი არ დაედება, რომ ის ამ ენის სწავლებას გულ-ცივად ეკიდება, მაგრამ ვერც ვიტყვით რომ იგი ამ ენის ღირსეული მასწავლებელი იყოს. მისი სპეციალური საგანი სულ სხვაა და ის ქართული ენის ღირსეული გადამცემი არაა. გოგვაძის შესახებაც ამაზე მეტი თუ ითქმის. და საქმეც გოგვაძე—ხარაბაძის დანიშვნა კი არ არის, არამედ ის, რომ უსამართლობა მოხდა და ქართული ენის შტატი გააუქმეს".

საკვირველი ამბავია! და უფრო საკვირველი ისაა, რომ ამისთანა საქმე ხდება და საზოგადოება კი ხმას არ იღებს!

⁂

უეჭველია, თუ ჩვენს უფლებებს აბუჩად იგდებენ, ამის ბრალი ჩვენცა გვაქვს, მიტომ, რომ მედგრად არ ვიცავთ ჩვენს უფლებას და შესაფერის პატივისცემით და ღირსებით არ ვეპყრობით საკუთარს ეროვნულ პიროვნებას, წმინდად არ ვასრულებთ ჩვენს მოვალეობას. იმავე გაზეთში სწერს ზ. ალე:

„ქართული ენის განვითარების შემაფერხებელი მიზეზი ბევრია, მაგრამ ყველაზე უფრო ბრალი ედებათ ამ შემთხვევაში ისევ მასწავლებლებს. ვინ არ იცის, რომ მასწავლებელი სულია სკოლისა, მასწავლებელი მამაა მოსწავლე-ახალგაზრდობისა; მასწავლებლის პიროვნებაზეა დამოკიდებული სკოლის ბედ-იღბალი. ეროვნული გრძნობით აღჭურვილი, დაუღალავი შრომის მოყვარე და მასთან განვითარებული მასწავლებელი თავის სკოლის საქმეს დააყენებს ნაყოფიერ ნიადაგზე. მაგრამ სადაა სამეგრელოში ასეთი სპეტაკი ეროვნული სულის მატარებელი მასწავლებელი? თითებზეა ჩამოსათვლელი!

ამავე საგნის შესახებ „იმერეთს" სწერენ ოდიშიდან:

„ჩვენში, სამეგრელოში ხომ ჯარის-კაცად ნამყოფებიც აღარ კადრულობენ ქართულს და სულ უცხო ენაზე ყბედობენ. ნეტავ იცოდნენ მაინც ეს ენა, ისე ამტვრევენ, გეგონებათ ქვის მკოდავები არიანო, ქართულს კი მაინც აღარ კადრულობენ.

რა არის მიზეზი ჩვენის ასეთის გადაგვარებისა? რასაკვირველია ჩვენი უხეირო აღზრდა. იმ დროს როდესაც ყველაფერი ვიცით ქვეყნისა, ჩვენის სამშობლოისა არა გვეგება-რა. არ ვიცით მისი არც მწერლობა, არც ისტორია, არა გვაქვს შეგნებული ჩვენი მოვალეობა!.."

ნარკვევი
(ჟურნალ-გაზეთებიდან)

გუშინდელ ნომერში საკმაოდ გავაცანით მკითხველს გ. იმხანიანის პიროვნება. მაგრამ მის წიგნაკში ბევრი საყურადღებო მარგალიტია გაფანტული და არ შეგვიძლიან ერთი ადგილი კიდევ არ ამოვწეროთ, სახელდობრ საქართველოს ავტონომიის შესახებ. გ. იმხანიანი ბრძანებს თავის წიგნის მე-75—76 გვ.:

„ფედერალისტების პოლიტიკურ მისწრაფებათა და წადილთა უმაღლეს წერტილს წარმოადგენს —მათი უდიდესი ოცნება, იდეა „ავტონომიური" (ფრჩხილები ავტორისა, მეპ.) საქართველოსი! ამ სტრიქონების დამწერი (გ. ი. იმხანიანი, მეპ.) არა თუ სრულ უტოპიად ცდიარებს საქართველოს პოლიტიკურს ავტონომიას, არამედ წინააღმდეგია ამის აზრის გავრცელებისა და მით უფრო ავტონომიის განხორციელებისა.

ეს იდეა უტოპიურია მიტომ, რომ შეუძლებელია წარმოვიდგინოთ სახელმწიფოში ისეთი პოლიტიკური მდგომარეობა, რომელმაც ასე თუ ისე ხელი შეუწყოს მაგვარი იდეის განხორციელებას. დღევანდელ პირობებში გაბატონებული წესწყობილება არასოდეს არ დაადასტურებს ავტონომიას. წარმოვიდგინოთ ისეთი მომავალი როცა გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება მცხოვრებთა დემოკრატიულს ნაწილს. მაშინაც „ავტონომიური" საქართველო იქნება ოცნება, ვინაიდგან მთელი კავკასიის დემოკრატია საზოგადოდ და კერძოდ ქართველი დემოკრატია არასოდეს არ დართავს ნებას ასეთი რეაქციონური მისწრაფების განსახორციელებლად".

ასე სწყვეტს და სჭრის საქართველოს ავტონომიის საკითხს გ. იმხანიანი და ამ შემთხვევაში იგი სრულად ემხრობა ჩვენებურ დასელთა უმეტესობის აზრს. შეიძლება, მათი პრინციპალური თვალთაზრისი სხვადასხვა იყოს, მაგრამ კონკრეტიული მისწრაფება კი ერთნაირია.

⁂

გაზ. „ზაკ. რეჩ"-ი ტფილისში კომიტეტის დაარსების გამო, რომელსაც განზრახვა აქვს შეაგროვოს შემოწირულება სამხრეთ რუსეთში ქარიშხალისაგან დაზარალებულთათვის, სწერს:

„ვესალმებით-რა ამ საქმის ინიციატორებს, არ შეგვიძლიან ამასთანავე არ ვისურვოთ, რომ ასეთი კეთილი საქმის თაოსნობას ხშირად იჩენდნენ ხოლმე. იჩენდნენ აგრეთვე იმ ხალხის მიმართაც, რომელთა შორის სცხოვრობენ და რომელთა ინტერესების დაცვაც ევალებათ.

წელს, როგორც ყველამ იცის, საზარელი უბედურება დაატყდა ქუთაისისა და ერევნის გუბერნიების მცხოვრებთ: დაიწყო შიმშილობა. მცხოვრებნი ელოდნენ, რომ ჩვენშიაც მოეწყობოდა დამხმარე კომიტეტები; მაგრამ სამწუხაროდ, მოლოდინმა უნაყოფოდ ჩაიარა.

შორეულ პეტერბურგში აღმოჩნდა კეთილი ხალხი, რომელთაც შეაგროვეს და გამოგზავნეს 14,000 მანეთი.

ტფილისში კი უმრავლესობა იმათგანი, რომელნიც დღეს კეთილ საქმეს თაოსნობენ, გუშინ ყური მოიყრუეს ხალხის უბედურებაზე".

სახელმწიფო სათათბირო

(დეპეშ. პეტერ. სააგენტო)

18 მარტის სხდომა.

როძიანკო თავმჯდომარეობს. ხერსონისა და ასტრახანის გუბერნიის სახ. სათათბიროს წევრების არჩევნები დაამტკიცეს. მიწის სასუქის ფალსიფიკაციის საწინააღმდეგო კანონ-პროექტი ირჩევა. ეს კანონ-პროექტი ზოგიერთი შესწორებით მიიღეს.

კონოვალოვი თავმჯდომარეობს. ფონტინსკი მოახსენებს სასოფლო-სამეურნეო კომისიის დასკვნას მინსკში სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაარსების აუცილებლობაზედ. სხვა მოლაპარაკეთა აზრით, უმჯობესია ინსტიტუტი ვილნაში დაარსდეს.

როდიჩევი. სანამ სამეურნეო-ინსტიტუტს დავაარსებდეთ, შესაფერ პროფესორების შოვნისათვის უნდა ვიზრუნოთო. ამისთვის კი აუცილებელია რუსეთში უმაღლესი სწავლის შესაძლებლობა აღვადგინოთ. აუცილებელია დავაბრუნოთ რუსეთში ის სამეცნიერო ძალები, რომლებიც რუსეთის უნივერსიტეტებიდგან განდევნილია. (სიცილი მარცხნივ, ხმაურობა მარჯვნივ). ხმაურობა მარჯვნივ მატულობს.

ზამისლოვსკი თავისი ადგილიდან წამოყვირებით მოლაპარაკეს სიტყვას აწყვეტინებს. თავმჯდომარე საგან წესიერებას მოაგონებს. ზამისლოვსკი თავმჯდომარეს უხირდება.

თავმჯდომარე. წინადადებას იძლევა ორი სხდომიდან გაიძრონ ზამისლოვსკი. 161 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 26 ხმისა ეს წინადადება მიიღეს (ტაში მარცხნივ).

როდიჩევი. სიტყვის დასასრულს ამბობს, კ.-დ. ჰსურთ უმაღლესი სასწავლებელი დაარსდეს ვილნოში, თუ ეს არ მოხერხდება, მაშინ დაარსდეს მინსკში.

ილაპარაკეს **კარაულოვმა, იანუშკევიჩმა და გრაფმა მუსინ-პუშკინმა.** ხმის უმეტესობით გადასწყდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი მინსკში დაარსდეს.

ვაჭრობის მინისტრისადმი შეკითხვაზე მინისტრის მინდობილობით პასუხს აძლევს სამრეწველო განყოფილების გამგე **ლიტვინოვ-ფალინსკი.** მან წამოაყენა ფაქტიური ცნობები და აზრი საექსპერტო კომისიისა, რომელშიაც შედიოდნენ პროფესორი **ბეხტერევი**, ექიმთა უფროსი ინსპექტორი **მალინოვსკი** და სხვ. ბენზინისა და მალამოს ანალიზმა ვერ აღმოაჩინა მოსაწამლი თვისება მათში. სპეციალისტმა ექიმებმა დაადგნეს, ეპიდემიური ისტერიის ბრალია ეს ავადმყოფობა. ეპიდემიურ ისტერიას კიდევ ხელ უწყობს მუშაობის გარემოება და დაავადებული ორგანიზმი. რეზინის სამრეწველოებში შეიძლება მიზეზი ბენზინიც იყო, მაგრამ რა იყო მიზეზი თამბაქოს ქარხნებში, ვერ გამოიკვლიესო. შეკითხვაში სხვათა შორის ნათქვამია, ვითომც ხუთი კაცი მოკვდაო. ეს სიკვდილი, ლიტვინოვ-ფალინსკის სიტყვით, დამოკიდებული არ არის უკანასკნელ ხანში მომხდარ ავადმყოფობისაგან. (ტაში მარჯვნივ და ცენტრში).

ტულიაკოვი. მთავრობა რომ მიუდგომელი იყოს, მაშინ მუშათა წარმომადგენლებსაც მოიწვევდა. იგი ამტკიცებს, საქარხნო ინსპექციის მოხელენი თავის დროზედ არ მივიდნენ ადგილობრივ. მუშების საზოგადო მდგომარეობა ნივთიერად მეტის მეტად უნუგეშოა. ავადმყოფი მუშა-ქალები, როგორც კი გონს მოდიოდნენ, იძულებულნი იყვნენ ქარხანაშივე დაბრუნებულიყვნენ, რომ შეკვეთილი სამუშაო დაესრულებინათ. მუშებს არა სწამთ მთავრობის დაპირება საქმის გამოძიების შესახებ.

თავმჯდომარემ სიტყვა წაართვა.

ბადაევმა განაცხადა, რომ მუშებს არა სწამთ მთავრობის წარმომადგენლის ახსნა.

თავმჯდომარემ მასაც სიტყვა წაართვა.

სამრეწველო განყოფილების გამგე. მთავრობა მაინც განაგრძობს საქმის გამოძიებას და გამოძიების შედეგს სათათბიროს წარმოუდგენსო.

შემდეგი სხდომა 19 მარტს.

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **იაკობ გოგებაშვილის მიერ** ნაანდერძევი მომგებიანი ბილეთები ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების გამგეობამ 18 მარტის კრებაზე გაანაწილა. კუპონის ყურით პირველ სესხის ბილეთები ერგო: ერთი ქართულ დრამატიულ საზოგადოებას, მეორე—საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას და მესამე—ქ. შ. წ.-კ. გამავრც. საზოგადოების სალიტერატურო ფონდს; მეორე სესხის ბილეთი ერგო ჟურნალ „განათლების" რედაქციას, ხოლო მესამე სესხისა—სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოებას. საერთოდ მთელი ანდერძი განსვენებულ ი. გოგებაშვილისა განხორციელებულია და თვის ხვედრი ფული ყველას მიღებული აქვს, გარდა ორიოდე კერძო პირისა.

✦ **პროფ. ა. ხახანაშვილის ანდერძის** განხორციელების საკითხი ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების გამგეობამ 18 მარტს განიხილა. გამგეობამ ანდერძის განხორციელება დაავალა თვის მდივანს ალ. თ. ყიფშიძეს, რომელიც მოსკოვს უნდა გაემგზავროს და სასამართლოს წინაშე საჭირო საბუთებით უნდა წარსდგეს.

✦ **სანატორიუმი „რუსეთის დედის" აბასთუმანში.** ექიმ მეგრაბიანცს აბასთუმანში შეუძენია ნაძვნარში მდებარე ფანიევის აგარაკი; მეგრაბიანცი ამ აგარაკს სანატორიუმად აკეთებს. სანატორიუმთან აარსებს აგრეთვე საკუთარ მერძეობის ფერმას. ავადმყოფთა ჩაწერა პირველ მაისიდან დაიწყება.

✦ **ყუბანის ოლქში** ქარიშხლისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების გამგეობამ 50 მან. გადასდო. ფული გადაეცემა ტფილისში შემდგარ კომიტეტს, რომლის თავმჯდომარედაც არის მეფის მოადგილის მეუღლე გრაფინია ე. ა. ვორონცოვა-დაშკოვისა.

✦ **ქუთაისის გუბერნიაში** მოუსავლობისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ ქ. შ. წ.-კითხვის საზოგადოების გამგეობამ 50 მან. გადასდო.

✦ **ზუბალაშვილის სახელობის სტიპენდია** კვლავ თავისუფალია. თხოვნები, რომელიც განხილული იქნება ორის კვირის შემდეგ, უნდა წარედგინოს ტფილისში ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების გამგეობას.

✦ **ვერის პარკი.** ქალაქის სატყეო-საბაღოსნო კომისიამ დაადგინა, ვერის პარკის ფარნების რიცხვს მოუმატოს, რიგიანად გაანათოს გზა ვერის ხიდიდან პარკამდე, გაამაგროს პარკი მტკვრის მხრიდან კედლით და მიიღოს ღონისძიებანი მტკვრის მარცხენა ნაპირის გაჭუჭყიანების წინააღმდეგ.

✦ **მუშტაიდის სანერგის** დასათვალიერებლად ქალაქის სატყეო-საბაღოსნო კომისია 25 მარტს მიემგზავრება გამგეობის წევრის მ. ნ. ათაბეგოვის მეთაურობით.

✦ **კავკასიის საბრეშუმო სადგურზე** აბრეშუმის თესლს შესამოწმებლად აღარ იღებენ.

✦ **წესიერი დასვენება.** სახელოსნო დაწესებულებებში მოსამსახურეთა წესიერ დასვენების წესებში ქალაქის გამგეობამ ცვლილებანი შეიტანა, თანახმად გუბერნატორის შენიშვნებისა და მოკლე ხანში ამ წესებს ქალაქის საბჭოს წარუდგენს განსახილველად.

✦ **კიდევ ერთი კლუბი.** ვერისა და ფუკის მცხოვრებლებს განუზრახავთ, გახსნან ამ რაიონში კლუბი.

✦ რედაქციამ მიიღო ჟურნალი „განათლება" (მესამე ნომერი). ჟურნალში მოთავსებულია ნაწერები: ივ. ვართაგავასი, გ. ანთელაძისა, ნ. ძიძიგურისა, ალ. ფერაძისა, მ. რევიასი, ი. სიხარულიძისა, ა. სვანიძისა, მ. ბოჭორიშვილისა, დ. თურდოსპირელისა, ილ. გოგიასი, ს. ტაიჟუნისა, გ. მოუსვენარიძისა, გ. ლეონიძისა, გურულ ისა, ლ. ძიძიგურისა, დ. თულისა, ვ. ობჩელისა, ლადო ბზვანელისა, ალ. ფრონელისა, ნ. გ-ძე-სი და სხვ. ჟურნალს ხელის მომწერთა საჩუქრად გაუყოლებია ალბომი („სახ. გაზეთის" დამატებაში მოთავსებული 6 სურათი ი. გედევანიშვილის „სინათლიდან").

საზოგადოებანი და კრებები

✦ დღეს, საღამოს 8 საათზე, თავად-აზნაურთა დეპუტატების საკრებულოში (ბელინსკის ქუჩა, № 2) მოხდება **საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების** წევრთა ჩვეულებრივი კრება. საგანი კრებისა: მოხსენება ლ. მელიქსეთ-ბეკოვისა—„სომხეთა მოქცევის" ქართული თარგმანი მე-XI საუკუნეში", და 2) ახალი წევრების არჩევნები. კრებას გარეშეთაც შეუძლიანთ დაესწრონ.

მოხსენების პროგრამმა: 1) წმინდა გრიგოლი პართელი ძველი ქართველების წარმოდგენით („სომხეთა მოქცევის" მნიშვნელობა ქართველებისათვის, როგორც აგიოგრაფიული ძეგლისა); 2) როდის გადმოითარგმნა „სომხეთა მოქცევა"? 3) რომელი ენიდან არის ნათარგმნი „სომხეთა მოქცევა"? 4) სომხეთა მოქცევის" მნიშვნელობა ქართული ისტორიისათვის".

✦ **ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების** დავალებით 16 მარტს ტყვიავში (გორის მაზრა) იყო საგანგებო კომისია, რომელშიაც შედიოდნენ: ვ. ი. რცხილაძე, პ. გ. მელია, მემამულე ი. ფურცელაძე, ცნობილი ინსტრუქტორი მეხილეობისა კ. თ. აფრიკიანი და ქართლის რაიონის ახალი ინსტრუქტორი ბაღოსნობა-მეხილეობისა გორთაძაშვილი. კომისიას დავალებული ჰქონდა დაეთვალიერებინა და შეემოწმებინა თვისება მემამულის გაბუნიას მამულისა, რომლის ყიდვაც აზრად აქვს ქართულ სამეურნეო საზოგადოებას. ტყვიავში მყოფმა კომისიის წევრებმა ისარგებლეს იმ გარემოებით, რომ სოფლის კანცელარიასთან მრავალ გლეხობას მოეყარა თავი მამასახლისის ასარჩევად და გლეხებს ხეხილის სამაგალითო გასხვლა აჩვენეს. ვ. ი. რცხილაძემ კანცელარიის წინ ხალხს სიტყვით მიმართა, აუხსნა თვისი მოსვლის მიზანი და სთხოვა, მათ ვაშლის ხის გასხვლისთვის ეყურებინათ თუმცა ხალხი სხვა საქმეზე იყო აქ შეკრებილი, მაინც

ეროვნული

100-დე გლეხი სიამოვნებით დასთანხმდა ამ წინადადებას და კომისიის წევრთ გაჰყვა. ბაღში გლეხებს მიმართა სიტყვით ადგილობრივმა გამოცდილმა მებაღემ ნ. ზ. კეცხოველმა და სთხოვა, ყურადღებით მოჰყრობოდნენ მასზე უფრო გამოცდილ პირთ. პ. გ მელიამ გლეხებს ჯერ აუხსნა ძირითადი პრინციპები ხეხილის გასხვლისა და შემდეგ ხალხის წინ გასხლა ოთხის წლის მოუვლელი ვაშლის ხე. გლეხები ყოველივეს ყურადღებით ისმენდნენ და უყურებდნენ და კითხვებსაც აძლევდნენ.

ხეხილის გასხვლის შემდეგ კომისიის წევრებმა დაათვალიერეს გაბუნიას მამული, რომელიც ტყვიავიდან ერთის ვერსის მანძილზე მდებარეობს და გარეშემო ცხრა სოფელი არტყია. მამულს ორის მხრით სარწყავი წყალი აქვს და წარმოადგენს ერთს მთლიანს სახნავ მიწას, ზომით 20 დესეტინას. კომისიამ ადგილი წუნ-დაუდებლად იცნო როგორც საჩვენებელ ბაღისათვის, ისე სანერგის გასაშენებლად, მხოლოდ ხილის ბაღს საქარეები დასჭირდება ორის მხრით, რადგანაც არა იშვიათად არის ხოლმე ძლიერი ქარი აღმოსავლეთითიდანა და დასავლეთიდან. კომისია შესაფერს მოხსენებას განსახილველად წარუდგენს საზოგადოების საბჭოს უახლოეს კრებას.

✦ უფასო სასადილოსა და საბავშვო სამეურნეო ახალშენის საზოგადოების წევრთა საერთო კრება დანიშნულია 23 მარტისთვის, დილის 11 საათზე, ქალაქის საბჭოს დარბაზში. კრება განიხილავს საზოგადოების 1913 წლის მოქმედების ანგარიშს.

✦ **ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების** გამგეობამ 18 მარტის კრებაზე დაადგინა სასკოლო სექციის შემდეგი დადგენილებანი: 1) მიეცეს ბაკურიანის სამინისტრო სკოლის მასწავლებელს ბეგრატ ბუთაძეს რამდენიმე ცალი „დედა ენა" პირველი და მეორე ნაწილი და რვეულები ქართველ მოსწავლეთათვის უფასოდ დასარიგებლად, 2) აძლიოს ნავთლუღის სკოლის მასწავლებელს ხახანაშვილისას დასახმარებლად თვეში 5 მან., 3) მიეცეს ქედის (აჭარაშია) სკოლის მასწავლებელს მაკარ კოპალეიშვილს წიგნები სკოლის საჭიროებათათვის, 4) მიეცეს ცხინვალის ერთ-კლასიან სკოლის მასწავლებელს მარიამ დავითაშვილის საბავშვო წიგნაკები მოსწავლეთათვის უფასოდ დასარიგებლად, 5) მიეცეს თიანეთის მაზრის ს. ართაანის სამინისტრო სკოლის მასწავლებელს აკაკი გაჩეჩილაძეს რამდენიმე ცალი „დედა ენა", „ბუნების კარი" და რვეულები მოსწავლეთათვის, 6) მისცეს ხერთვისის (გურია) სამინისტრო სკოლის მასწავლებელს ა. დობორჯგინიძეს „დედა ენა" და საყმაწვილო წიგნები, 7) გაუგზავნოს გორის მაზრის სოფ. ქურთაში მცხოვრებს ალ. მაჩაბელს „დედა ენა" და სხვა წიგნები სკოლაში მოსწავლე ბავშვებისთვის დასარიგებლად და 8) შეძენილ იქმნეს ყალამშიის სკოლისთვის შკაფი და სხვა საჭირო ნივთები.

✦ ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების გამგეობამ ნება დართო საზოგადოების სექციებს, რათა საზოგადო კრების მიერ ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცებამდე შეუდგნენ თვის მოქმედების განხორციელებას და დახარჯონ კიდეც ფული, ხოლო არა მეტი იმ თანხის ნახევარისა, რომელიც ხარჯთ-აღრიცხვის პროექტით მათს განკარგულებაშია გადადებული.

✦ **ქართულ სიქველმოქმედო საზოგადოების** წევრთა საერთო კრება დანიშნულია 25 მარტისთვის, შუადღის 12 საათზე, კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების შენობაში. კრება განიხილავს საზოგადოების მოქმედების ანგარიშს და აირჩევს გამგეობისა და სარევიზიო კომისიის ახალ წევრებს.

✦ ქალაქის საბჭოს სატყეო-საბაღონნო კომისიის კრება 18 მარტს ქალაქის გამგეობის წევრის მ. ნ. ათაბეგოვის თავმჯდომარეობით. კომისიამ მსჯელობა იქონია ქალაქის სანერგეების, პარკებისა და ბაღების მოვლის შესახებ. კომისიამ თავის წევრებს შორის გაანაწილა მეთვალყურეობა სანერგეებისა, პარკებისა და ბაღებისა და დაავალა, შეიმუშაონ ღონისძიებანი მათის გამშვენიერებისა და შეადგინონ საჭირო ხარჯთ-აღრიცხვა. ამის შემდეგ კომისიამ აღიარა, რომ ქუჩებზე ერთობ ცოტა ხეხილებია გაშენებული და შეიმუშავა ღონისძიებანი, რომელიც უნდა განახორციელოს უფროსმა მებაღემ რამონოვმა. დასასრულ კრებამ დაადგინა, ყვავილნარები და ბაღჩები გააშენოს ქალაქის სხვა და სხვა ადგილას, მათ შორის, თამამშევის ქარვასლის წინ, „კავკაზ"-ის სასტუმროს პირდაპირ და ვორონცოვის ძეგლის გარშემო.

✦ **ქალაქის საბჭოს** კრება დღეს აღარ მოხდება. შემდეგი კრება ორშაბათისთვის არის დანიშნული.

✦ ქალაქის ღარიბთა თავშესაფარის გამგე კომისიის კრება 20 მარტისთვის არის დანიშნული.

სასწავლებლებში

✦ **ქართულ სიქველმოქმედო საზოგადოების სასწავლებელში** რომელიც ტფილისშია, წინად ქართულ ენის გაკვეთილი კვირაში რვა იყო. 1 თებერვლიდან კვირაში ათი გაკვეთილი გახდეს თანახმად ქ. შ. წ.-კითხვის საზოგადოების სურვილისა. ამის გამო წ.-კ. საზოგადოების გამგეობამ დაადგინა, სკოლის მასწავლებელს ქ-ნ ეგაძისას 15 მან. ნაცვლად 1 თებერვლიდან 25 მან. აძლიოს.

✦ **საგურამოს სკოლა**, რომელიც მოთავსებულია ილიასეულ სახლში, ამას წინად სხვადასხვა დროს დაათვალიერეს სკოლებისა და ბიბლიოთეკების ხელმძღვანელ-მეთვალყურემ გრ. ბურჭულაძემ და წ.-კ. გამგეობის წევრმა ლ. ბოცვაძემ. ორივენი იმ აზრისანი არიან სკოლა მეტის მეტად დაშორებულია სოფელზე, რითაც აიხსნა მოსწავლეთა სიმცირე ამ სკოლაში. ზოგს მოსწავლეს ორის ვერსის მანძილიდან უხდება სკოლაში სიარული. ამის გამო, თანახმად ზემოხსენებულ პირთა წინადადებისა, გამგეობამ დაადგინა, სთხოვოს საგურამოს მემამულეს სტაროსელსკის, რათა სკოლას უფასოდ დაუთმოს გურამაანთ კარში მიწა, რომელიც შუაგულ ალაგას არის. გამგეობამ ამასთანავე დაადგინა, შეეკითხოს მცხოვრებთ, რა მონაწილეობას მიიღებენ იგინი სკოლის შენობის აგებაში.

✦ **ოსური სკოლა**, სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოების სექციამ დაადგინა, 24 მარტიდან საღამოს სკოლა გახსნას ელისაბედის ქუჩაზე (№ 158) მოზრდილთათვის. მსურველთ ჩაწერა შეუძლიანთ 22 მარტიდან, სწავლა იქნება ყოველ დღე, ზაფხულშიც, საღამოს 6 საათიდან 9 საათამდე.

სომხეთა ცხოვრება

✦ **ნერსესიანის სომხური სემინარია.** გაზეთ „ჰორიზონში" ტერ-გრიგორიანი ეკითხება ამ სემინარიის გამგეებს, რა მიზეზია, რომ შეგირდების რიცხვი შემცირდა. 1903—04 წ. სემინარიაში ითვლებოდა თურმე 650 მოსწავლე, 1905—6 წ. 1200—1300, ეხლა კი მხოლოდ 400-ია.

✦ **კავკასიის სომხური საქველმოქ. საზოგადოება** განყოფილებას ხსნის ტფილისში, ავლაბარში.

✦ **ნ. ყორღანოვმა** 3200 მანეთი შესწირა სიღნაღის სომხურ სამრევლო სკოლის შენობის ასაგებად.

✦ **ჯამგაროვთა სასოფლო-სამეურნეო** სკოლის დაარსებამ განჯაში დიდი კამათი გამოიწვია სომხურ პრესაში. გაზეთი „მშაკი" იწუნებს სკოლის წესდებასა და გეგმას, ხოლო „ჰორიზონსა" და „გორცს" ყოვლად შეუფერებლად მიაჩნიათ, რომ სკოლაში სწავლება რუსულად იქნება და არა სომხურად.

გორი

✦ როგორც გავიგეთ, ტფილისიდან ექსკურსია მიემგზავრება ქუთაისისაკენ გელათის მონასტრის დასათვალიერებლად. ექსკურსიაში მონაწილეობის მსურველნი აქაც აღმოჩნდნენ.

✦ მომავალ მაისიდან სანდრო გძელიშვილის მეთაურობით დაიწყება ჩვეულებრივი ექსკურსიები მცხეთაში, უფლისციხეში, ატენის ხეობაში, დიდი ლიახვისკენ და სხვ. ექსკურსანტები ეწვევიან ზოგიერთ ახლო-მახლო სოფლებსაც, ჩვენი გლეხის ეკონომიურ და კულტურულ მდგომარეობის გასაცნობად.

✦ ამას წინად თავი მოიწამლა ორმა ქალმა. ერთი მათგანი მაშინვე გარდაიცვალა.

✦ ი. ოთარიძის აბანოში ამას წინად ახლად დაბადებული ბავშვი იპოვეს მამრობითი სქესისა. ბავშვი თვითონ ოთარიძემ იშვილა.

✦ თებერვლის მშვენიერი დღეები მარტის ცივმა ქარიანმა დღეებმა შესცვალა. გამუდმებული სუსხიანი ქარი ჰქრის.

✦ რამდენიმე დღეა ქალაქი ნახევრად გაუნათებელია ელექტრონის სადგურის რიგიანად მოუწყობლობის გამო.

სოფლად.

✦ **ს. მოლითი.** 16 მარტს ს. გუდათუბნის მცხოვრებმა კიმოთე გუდაძემ და მისმა შვილმა მიხამ ჩხუბი აუტეხეს გზაში მიმავალს სანდრო გუდაძეს, რომელსაც კეტით თავი გაუტეხეს. სანდრო გუდაძე მეორე დღეს გარდაიცვალა.

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის მე-1142 ნომერში დაბეჭდილი იყო რომ ილია ჭავჭავაძისეულ სახლის გამოსასყიდად ექიმ შალვამ და მის მეუღლემ ნინო კოვაჩაშვილებმა 25 მანეთი შესწირეს. უნდა იყოს **კოკაჩაშვილები** და სხ.

დღიური

ახლად შობილები და განწმენდილები

ჩემს წინ ოთხი ქუთათური გაზეთია, ოთხივე პოლიტიკური, სხვა და სხვა მიმართულებისა; სამი ყოველდღიური და ერთი საორშაბათო. ამას გარდა ქუთაისში გამოდის კიდევ სამი კვირეული ჟურნალი სპეციალური შინაარსისა—ერთი სასოფლო-სამეურნეო, ერთი საკოოპერაციო და ერთიც სასულიერო-საეკლესიო. ტფილისში ამ ჟამად ოთხი პოლიტიკური გაზეთი იბეჭდება—ერთი ყოველდღიური, სამი ყოველკვირეული, სამი ყოველთვიური ჟურნალი—ერთი საზოგადო, ორი საყმაწვილო, ორი იუმორისტული ჟურნალი, ერთი პოლიტიკური ყოველ-დღიური გაზეთიც მალე დაიწყებს გამოსვლასო. ერთი პოლიტიკური გაზეთი გამოდის კიდევ ბათომში და ერთიც სიღნაღში. სულ თექვსმეტი გამოცემაა დღეს ქართულ ენაზე. საკმაო რიცხვია და ბედნიერება იქნებოდა, რომ ეს ბუნებრივ მოვლენად გადაიქცეს და დღევანდელ ჟურნალ-გაზეთების სიცოცხლე დღემოკლე არ გახდეს. მაგრამ... ამასაც თან სდევს სამწუხარო „მაგრამ" და წინანდელს ამბებს თუ მოვიგონებთ, ვერ ვიტყვით დანამდვილებით, რომ ამდენი გაზეთი იარსებებს ჩვენში დღევანდელ პირობებში.

ყოველ შემთხვევაში ის გადაჭრით შეგვიძლია აღვიაროთ, რომ პოლიტიკური გაზეთების გამრავლებამ დიდი სიცხოველე დღეს შეიტანა ჩვენს ცხოვრებაში, დიდი აზრების შეხლა-შეტაკება გამოიწვია და ხელს უწყობს ყველა არსებულ მიმართულების გამოცხადებას და გამოაშკარავებას. წინად თუ შეგნებულად ან შეუგნებლად ცალმხრივის საზომით შესაძლებელი იყო რომელისამე მიმართულების დახასიათება, ეხლა ეს შეუწყნარებელია. წინად თუ ყველას, ვინც თავის ეროვნებას აღიარებდა, ერთს ბანაკში ათავსებდნენ, ან იმათ, რომლებიც ხალხის დროშით გამოდიოდნენ, ერთის სახელით ნათლავდნენ, ეს ყოვლად მოუხერხებელია დღეს. წინად თუ ზოგიერთები განზრახ აფუჩეჩებდნენ მოწინააღმდეგის აზრებს და თუ ვინმე ერთ რამეში არ ეთანხმებოდა მათ, ამბობდნენ, არაფერში არ გვეთანხმებიანო, ამას ვერ შესძლებენ დღეს, როცა მოხდა მიდრეკილებათა დიფერენციაცია, დანაწილება და ყოველი მიმართულება გარკვევით ჩამოყალიბდა და თითოეულს სოფლმხედველობას თავისი გამომხატველი ორგანო აქვს.

წინად დასელები გაიძახოდნენ: ჩვენ და სხვები! და ეროვნების აღმსარებელნი: ჩვენ და დასელები! ახლა კი ამას რეალური ნიადაგი არა აქვს, რადგან ირკვევა, რომ „სხვებში" არიან ისეთები, რომლებსაც ბევრი რამ საერთო აქვთ დასელებთან მშრომელი ხალხის პოლიტიკური და სოციალური ინტერესების დაცვის საქმეში, და „დასელებშიც" არიან ისეთები, რომლებიც, იდეურად მაინც, აუცილებლად ერთად იქნებიან, ერთად იმუშავებენ ეროვნულ დემოკრატიულ უფლებათა და ეროვნულ ტერიტორიის დასაცავად. ამასთანავე ნათლად გამოირკვა ისიც, რომ ეროვნების მომხრე ყველა ერთი არაა, რომ შეიძლება იგი გამოვიდეს წმინდა დემოკრატიულის, ხალხურის დროშით და შეიძლება ხელში აიღოს ხმალი ვიწრო კლასობრივი ან წოდებრივი ბატონობის გასამტკიცებლად და ერთა შორის შუღლის და მტრობის გასაძლიერებლად. ერთს მოაქვს თავისუფლება და თანასწორობა, მეორეს მონობა და ჩაგვრა, და ორივესი ერთად შეკავშირება, ერთს ფარგალში მომწყვდევა არ შეიძლება.

რასაკვირველია, თუ საბედნიეროდ, დღევანდელ ქართულ ჟურნალ-გაზეთებს ხანგრძლივი სიცოცხლე ექნათ და ახალიც მოემატა კიდეც, მათ შორის დიდი გაცხარებული კამათი და დავობა იქმნა, რომელიც უფრო და უფრო გამწვავდება; ჩვენებური გატაცებისა და თავ-დავიწყებისა გამო ხშირად კილო გადაჭარბებული იქნება, ბევრჯელ საკითხი ისევ ცალმხრივ გაშუქდება, ერთმანეთის გაუგებრობას გამოიჩინენ მწერლები; ერთი მეორის მონათესავე გამოცემები, ერთ მიზანს მოწადინებულნი, ერთის საქმით დაინტერესებულები უფრო მეტის სიცხარით და სისასტიკით დაეტაკებიან ერთმანეთს, ვიდრე სრულს მოპირდაპირეს, მაგრამ ბოლოს და ბოლოს სინამდვილის ლოღიკა თავისას გაიტანს და რაც თეთრია, თეთრად დარჩება და შავი-შავად, და გამწვავებული ომის და ჩხუბის შემდეგ უფრო ნათელი შეიქნება ყველასათვის ერთი-მეორის გულითადი მრწამსი და უფრო ადვილი გახდება შეთანხმება, ზოგიერთ საკითხში მაინც, იმათთვის, ვინც ერთმანეთს არსებითად ენათესავება. ვამბობ რა ამას, სრულებით არ მინდა რამე ვიწინასწარმეტყველო, მხოლოდ აღვნიშნავ ფაქტიურს შესაძლებლობას.

აზრთა განწმენდა და მიმართულებათა გარკვეული ჩამოყალიბება—ეს აუცილებელ შედეგად მოჰყვება ქართული პრესის დღევანდელს ზრდას. ვფიქრობ, რომ ეს შესამჩნევად მოხდება იმ შემთხვევაშიაც, თუ ახლად შობილმა გაზეთებმა ბოლომდის ვერ გასძლეს, ვინაიდგან ერხელ ამოძრავებული აზრი არ შეჩერდება და ცხადად თუ ფარულად, შეგნებულად თუ შეუგნებლად, ლოღიკურს დასკვნამდის მიაღწევს. ამიტომ რეალური ღირებულობა ქართული ჟურნალ-გაზეთების ეხლანდელი გამრავლებისა ყოველს ეჭვს გარეშეა. მაგრამ ამასთანავე უსაფუძვლოდ მიგვაჩნია ზოგიერთების მტკიცება, რომ მაგალითად „იმერეთის" და „კლდის" არსებობა წარმოშობს და განავითარებს ჩვენში ბურჟუაზიას და კაპიტალისტურ წარმოებას. პრესას აგეთი ყოვლადშემძლებლობა არსად გამოუჩენია, მით უფრო არ ემჩნევა ეს სიძლიერე ხსენებულ ორგანოებს. ბურჟუაზიას კი არა შობს პრესა, თვითონ ბურჟუაზია ჰქმნის პრესას. ამით რასაკვირველია, იმის თქმა არ მინდა, რომ ჩვენში ბურჟუაზია არ არის, რომ კაპიტალისტური წარმოება საჭირო არაა, რომ არ უნდა ვსცდილობდეთ ტეხნიკის გაუმჯობესობას წარმოების ყოველ სფეროში. არა, ამის მთქმელი არავინაა; მაგრამ შეცდარია ის, ვინც ფიქრობს, რომ ჩვენს ქვეყანაში მსხვილი კაპიტალიზმი გაბატონდება და ის მისცემს ერთ მიმართულებას მთელს ჩვენს ეკონომიურს ცხოვრებას. უეჭველია ჩვენში იქნებიან კერძო მსხვილი კაპიტალისტური მწარმოებლები, მაგრამ უმთავრეს ადგილს დაიჭერს წვრილი წარმოება და კოოპერატიული წარმოება, რომელიც შეითვისებს ყოველგვარს გაუმჯობესებულ ტეხნიკას.

ასეთი წარმოების ფსიხოლოგია ყოველთვის ხალხურია, მისი პოლიტიკური იდეალები უფრო დემოკრატიისაკენაა მიხრილი, და ამიტომ ჩემის აზრით, სრულიად უნიადაგო და უსაფუძვლოა იმის მოლოდინი, რომ რომელიმე „იმერეთი" თუ „კლდე" ხელს შეუწყობს ჩვენში მსხვილ კაპიტალისტურ მრეწველობას და განამტკიცებს მის წმინდა ბურჟუაზიულ იდეოლოგიას.

სიტყვა.

მცირე განმარტება

საკითხის გამოსარკვევად უპირველესად ყოვლისა ის არის საჭირო, რომ მოკამათემ მოწინააღმდეგის აზრი არ დაამახინჯოს. საუბედუროდ ბ-ნი ისარი, რომელიც ტერიტორიის საკითხის გამო მეკამათება, ამ აუცილებელ პირობას არღვევს. საჭიროდ მიმაჩნია ისიც აღვნიშნო, რომ სრულიად უადგილოა ის ცრუ პათეთიზმი, რომელსაც მიჰმართავს ბ-ნი ისარი კამათის დროს. აი, რანაირ კილოთი სწერს იგი: „ხსენებული მაზრების მართლმადიდებელსა, კათოლიკე და მაჰმადიან ქართველებს სრული უფლება აქვთ სამართლიანი გულისწყრომით მიმართონ „სახალხო გაზეთსა" და „ჩვენს ერს": რისთვის გვართმევთ სამშობლოს, რომელთანაც დაკავშირებული ვართ ეკონომიურად, გეოგრაფიულად, ისტორიულად, ენით, სისხლით, ზნითა და ჩვეულებით? რა გვაქვს საერთო ერევნის გუბერნიასთან, სადაც გწადიათ ჩვენი გადაგდება? რათ გინდათ, რომ გაჩაღდეს ჩვენსა, სომხებსა და თათრებ შორის ეროვნულ-სარწმუნოებრივი შუღლი?! ნუ თუ სომხებს უფლება აქვთ ააგონ თავისი ბედნიერება ჩვენს უბედურებაზე?!" და ასე ბოლომდის. გულში ცემა და ცრუ კლასიკური აკტიორის მსგავსად ნიანგის ცრემლთა ფრქვევა, გარწმუნებთ, სრულიად მოსატანი არ არის იქ, სადაც იქნება თქვენზე მეტს ჰყვირიან სამშობლოს სიყვარულზე, მაგრამ საჭიროდ კი არ მიაჩნიათ ამ სიყვარულისა და გრძნობების აკტიორული დემონსტრაცია. პატეთიზმი ასეთი საკითხების გამორკვევის დროს სრულიად უადგილოა, უადგილოა მით უფრო, როგორც ერთხელ კიდეც ვამბობდი, რომ ამ პატეთიზმისთვის ჩვენ არავის არავითარ საბუთს არ ვაძლევთ.

ბ-ნი ისარი ეხლაც, განმეორებით, მართალს არ ამბობს და თავის ფანტაზიის ნაყოფს ჩვენს აზრებად ასაღებს. იგი ბრძანებს:

„ბ. არ. ჯ-შვილი გვეუბნება; ბორჩალოსი და ახალქალაქის მაზრები საქართველოს აღარ ეკუთვნიან, უკვე ერევნის გუბერნიის ნაწილს წარმოადგენენ ეთნოგრაფიულად და ქართველებს „გერმანიის ძალი" უნდა ჰქონდესთ, რომ ძალით ჩამოართვან სომხებსო". არსად ამის მსგავსი მე არ მითქვამს და ვერც ვიტყოდი იმ უბრალო მოსაზრების ძალით, რომ თანამედროვე ადმინისტრატიული დანაწილება სრულიად არ მიმაჩნია ისეთნაირად, რომელიც სწორედ გამოხატავს რეალურ ეთნოგრაფიულ განაწილებას. შეიძლება ერევნის გუბერნიაშიც შედიოდეს მრავალი ისეთი ადგილი, რომელიც ეთნოგრაფიულად ნამდვილი ქართულია. ჩვენ საზღვრების შედგენა არ გვიკისრია, რომ ზედ-მიწევნით ჩამოგვეთვალა ყველა ის ადგილები, რომლებიც ქართულ ტერიტორიად უნდა ჩაითვალოს; ასეთი კონკრეტიზაცია საზღვრებისა დღევანდელ პირობებში არამც თუ შეუძლებელია, მავნებელიც კი იქნება ჩვენთვის, შესაძლებელიც რომ იყოს. ჩვენ მხოლოდ ვიცავთ პრინციპს რეალურ მოსახლეობისას, ე. ი. ვაცხადებთ, რომ იქ, სადაც ქართველობა ან სულ არ არის, ან ძალიან მცირე პროცენტს შეადგენს, ქართველებს არავითარი ინტერესი არა აქვთ. თუ ჩვენ აგრესიული ნაციონალიზმისა და მილიტარისტულ ნიადაგზე დავდგებით, მაშინ შეიძლება კიდეც წავეპოტინოთ ასეთს ადგილებს, მაგრამ ეს მავნებელი იქნება ჩვენივე პოლიტიკური ინტერესებისთვის. ამისთანა პოლიტიკის საწარმოებლად საჭიროა ძალა დიდი მილიტარისტული სახელმწიფოსი და არა ისეთისა, რომელიც იძულებული ჰხდება თვითონ დაიფაროს თავისი თავი აგრესიული ნაციონალიზმის იერიშისაგან. როდესაც ორი, აგრესიულად განწყობილი ერი ან სახელმწიფო ერთმანეთს ეხეთქება, საქმე ომით თავდება. ჩვენი პოლიტიკური მდგომარეობა დღეს იმნაირია, რომ სწორედ ამნაირ აგრესიულ ნაციონალიზმის შედეგს განვიცდით და საშინელ ეროვნულ დეზორგანიზაციის გზას ვადგევართ. ამისთანა პირობებში საჭიროა თავის დაცვა აგრესიული ნაციონალიზმის პრინციპიალური უარყოფის საშუალებით და არა კონტრ-აგრესიული ნაციონალიზმის დროშის აფრიალებით.

ჩვენ მთელის ჩვენის ძალ-ღონით შევებრძოლებით ამნაირ დროშის აფრიალებას, რადგანაც იგი მიმართულებას უცვლის ქართველი ხალხის საღ და მიზან-შეწონილ განვითარებას და აყენებს გზაზე, რომელსაც ცოტა არ იყოს პოლიტიკური ავანტიურიზმის სუნი უდის.

ქართველი ხალხის ნორმალური ეროვნული განვითარებისთვის სრულიადაც საჭირო არ არის ასეთი სახიფათო გზა, გზა, რომელიც დღეს შეიძლება, ქართველი ხალხის საერთო დაბეჩავების გამო, თვალ-წარმტაც პერსპექტივებს უშლიდეს ზოგიერთებს, მაგრამ რომელიც, იმისდამიუხედავად, მოჩხამული და მავნებელია. აგრესიული ნაციონალიზმის დროშის აფრიალება მავნებელია ყველასათვის, იგი უძლესად მავნებელია დაჩაგრული ერისთვის, რომელიც თავის საკუთარ ზურგზე განიცდის მთელს სიმწვავეს ამ აგრესიული ნაციონალიზმისას.

ყველა ამას, რასაკვირველია, არაფერი საერთო არა აქვს იმ კონკრეტული ხასიათის საკითხებთან, რომელიც ტერიტორიის საკითხის გამო წარმოიშვა. იმ პრინციპის აღიარება, რომელსაც ჩვენ ვიცავთ, კიდევ იმას არ მოასწავებს, რომ ჩვენ მომხრენი უნდა ვიყოთ დღევანდელი ადმინისტრატიული დანაწილებისა, ან სომხური ტერიტორიის ხელოვნური გამოჭრისა, ან სადავო მაზრების მიჩუქებისა და სხ. როგორც წინა წერილშიაც ვამბობდი, ყოველგვარი ტენდენცია ხელოვნური ტერიტორიების შექმნისა, ქართული, [illegible] თუ სომხური, ერთნაირად დასაგმობია.

დასასრულ, ბ-ნ ისარს კიდევ ერთი რამ უნდა მოვახსენოთ. არავის არ უთქვამს, რომ ის სადავო ადგილები, რომლებშიაც ქართველები ნაკლებად არიან, მაგრამ რომელნიც სურვილს გამოიჩენენ საქართველოს საზღვრებში ყოფნისას, ძალით გავრეკოთ. ჩვენ მხოლოდ ის აღვნიშნეთ, რომ სადავო ადგილების მცხოვრებლებმა თვითონ უნდა გადასწყვიტონ თავიანთი ბედი და გადასწყვიტონ მაშინ, როდესაც საზღვრების გამიჯვნა პრაქტიკულ საქმედ იქცევა. ამის წინააღმდეგ მხოლოდ იმას შეუძლიან წასვლა, ვისაც დაჰკარგვია ყოველნაირი წარმოდგენა დემოკრატიზმის შესახებ.

არ. ჯ—შვილი

მოწერილი ამბები

ს. რუისი (გორის მაზრა). თბილმა თებერვლის დღეებმა აქაური მცხოვრებნი სამუშაოდ გაშალა ბაღ-ვენახებში; ამ ჟამად გაცხარებული მუშაობაა სოფელში: აშენებენ პატარ-პატარა ხილის ბაღებს; ყოველ-დღე მოდის საკმაოდ დიდი რიცხვი ნამყენი ხეხილისა, რომელსაც უმთავრესად სკრის ბაღიდან ეზიდებიან. საუბედუროდ საქმეში მუშა-გლეხს აკლია ხელმძღვანელობა მცოდნე პირისა—იგი თვითონ ყიდულობს ნამყენს და კი არ იცის—რომელი ჯიშის ნამყენს და რა თვისების ხეხილს მისცემენ მებაღეები. არც ის იცის როგორ და რა გეგმაზე უნდა ჩაიყაროს ხეხილი. ბაღების გაშენების სურვილი სოფელში ძალიან დიდია. კარგს საქმეს იზამდა ქართლის აგრონომი, რომ ინახულებდეს ჩვენ სოფელსაც და ერთ-ორ ლექციას უძღვნიდეს ხეხილის არჩევა, დარგვა მოვლის საქმეს.

აქ ერთს პატარა წრეში დაიბადა აზრი ყოველ კვირეულ ბაზრობის მოწყობისა კვირა დღეობით. აზრი ფრიად საგულისხმიეროა. მართლაც და, რომ ჩვენმა სოფლის რწმუნებულმა პირებმა ითავონ და იშუამდგომლონ მთავრობასთან, რომ სოფელში ყოველ-კვირეული ბაზარი დაარსდეს, დიდ სარგებლობას მოუტანს აქაურ და ახლო-მახლო მდებარე სოფლებს—შეაჩვევს ურთ-ერთ შორის აღებ-მიცემობას, ნაწარმოების გაცვლა-გამოცვლას, გამოაფხიზლებს გონებრივად და ნივთიერადაც წინ წასწევს. ვგონებ მთავრობა ამათ შუამდგომლობას აუსრულებს, მით უმეტეს, რომ აქ, ქართლში, არსად არ არსებობს ამისთანა ბაზარი.

აქ უკვე შესდგომიან მუშაობას საამხანაგო დუქნის დაარსების შესახებ. საამხანაგო დუქანი კარგი საქმეა, თუ ჯეროვანად გაუძღვებიან საქმეს.

რუისის მშვენიერი ძველთაგანძველი ტაძარი წვეთისაგან არის დაზიანებული, სახურავის უვარგისობის გამო. საჭიროა დროზე მიექცეს ყურადღება. საჭიროა აგრეთვე წყაროების გაყვანა უწყლო უბნებში, სკოლის მეორე შენობის აგება, ორკლასიანად გადაკეთების გამო, სადგურ ქარელს და რუისის შუა ხიდის გაკეთება, რკინის გზის ბაქანის გაკეთება ჩვენი სოფლის პირდაპირ. სოფლის გაუმჯობესობა სანიტარულის მხრით და სხვა.

შარშან სექტემბერს შესრულდა 30 წლისთავი რუისის სკოლის დაარსებიდან (1883).

კარგი იქნებოდა, რომ ამ ზაფხულში რაიმე დღესასწაული მოწყობილიყო ამის გამო. **სანდრო.**

ხაშური. მარტის 16-ს ხაშურის ამხანაგობის წვრილი სესხის წევრთა წლიური კრება მოხდა ვ. ჯაფარაშვილის ბინაზე. თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ს. ჯაფარაშვილი. კრების დაწყებისათანავე წაიკითხა წლიური ანგარიში ამხანაგობის გამგეობის თავმჯდომარემ ბ. კ. ძნელაძემ.

1913 წელს ამხანაგობას დარჩენია წმინდა მოგება 537 მ. 02 კ. ეს მოგება ასე განაწილდა: საკუთარ ძირითად თანხად—214 მ. 80 კ., სათადარიგო—107 მ. 40 კ., საკუთარ ბინის ასაგებად—214 მ. 82 კ., წლევანდელი ხარჯთ-აღრიცხვა (850 მან.) კრებამ დაამტკიცა.

კრებამ დაავალა გამგეობას იშუამდგომლოს სადაც ჯერ არს, რომ ამხანაგობას გაუდიდონ მოკლე ვადიანი სესხი 30,000 მან. კრება გაგრძელდა 10 ნახ. საათ. 3 საათამდე. საზოგადოებამ დიდი მადლობა გამოუცხადა გამგეობას იმათ უანგარო მუშაობისათვის, რის შემდეგ კრება დაიხურა.

ამხანაგობის წევრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირლანდიის ავტონომიის გამო

(დეპეშები)

ლონდონი. ქვედა პალატაში 17 მარტს გამოირკვა ახალი წინააღმდეგობა გოფთან გაგზავნილ პასუხის გამო. ჩერჩილმა განაცხადა, გოფის სახელზე გაგზავნილი მემორანდუმი მხოლოდ ასკვიტმა განიხილა და საბუთის რედაქცია შესცვალაო. მეორე დღეს ჩერჩილმა თავისი განცხადება შესცვალა, და სთქვა, მემორანდუმი კაბინეთს წარდგენილი ჰქონდა; ამასთანავე გამოირკვა, რომ კაბინეთი არ ეთანხმება მემორანდუმს. აღმოჩნდა, რომ მემორანდუმიდან ასკვიტს ზოგიერთი მუხლი ამოუშალა, და მხოლოდ ამის შემდეგ გადასცა იგი სილის.

ლონდონი. კერძო ცნობებით, ასკვიტმა სამხედრო მინისტრობა იმისათვის იკისრა, რომ ეს ნაბიჯი საჭირო იყო ჯარისა და მთავრობის მოსარიგებლად. ამავე მოსაზრებით ხელმძღვანელობდა ასკვიტი, ხელმეორედ თავისი არჩევა რომ მოითხოვა. თუ არ აირჩიეს, იგი საპოლიტიკო მოღვაწეობას თავს დაანებებს. ლიბერალების აზრით, ასკვიტი გამოიყვანს ქვეყანას ამ გართულებულ მდგომარეობიდან, რადგანაც მას დიდი სახელი აქვს მოხვეჭილი, და სამხედრო უწყებაში წესიერებას აღადგენს.

ლორდთა პალატა. მორლეი ჯარის საქციელს განმარტავს. მისის აზრით ორი ჩამატებული მუხლი კაბინეთისაგან მოწონებულ მუხლთაგან არ განსხვავდება. კერზონი მორლეის შეეკითხა, რატომ სილისთან ერთად არ გადადექიო. მორლეიმ განაცხადა, პასუხს ხვალ მოგცემთო. ამ პასუხის გამო ჰფიქრობენ, რომ მორლეი თანამდებობიდან გადადგება.

ქვედა პალატა. ჩერჩილი ორივე პალატის ოპოზიციის ლიდერებს ბრალსა სდებს, ჯარს ურჩობაში აქეზებდნენო. მან განაცხადა, ჯარს საპოლიტიკო იარაღად იყენებენო. კონსერვატორების ლოზუნგი გამოაცხადეს: „ჯარი პარლამენტის წინააღმდეგო“. ამ ლოზუნგის გაუქმება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ პალატის ორივე პარტიაში სადავო საკითხები აღარ იქნება. წინააღმდეგ შემთხვევაში ჯარი ისევე რყევაში იქნება, როგორც ლორდთა პალატა. ბონარ-ლოუ აღნიშნავს შესამჩნევ წინააღმდეგობას მთავრობისა და ქვედა პალატის შორის. მისი აზრით მთავრობამ რაღაც დაჰფარა. სილი ამას უარჰყოფს. პარლამენტის მიერ განაწილებულ თანხების ბილლის მესამე კითხვა მიიღეს 329 ხმით 251 წინააღმდეგ.

ლონდონი. „დეილი ტელეგრაფის“ სიტყვით, ქვედა პალატის კულუარებში ხმა გავრცელდა, პრემიერმა ინდოეთის მეფის მოადგილესაგან ცნობა მიიღო, ვითომც ინდოეთში მყოფ ბრიტანიის ჯარებში აფიცრების უმრავლესობა სამსახურიდან გადადგაო. ამითი ვითომც გამოსთქვეს სურვილი, რომ მთავრობა შეუთანხმდეს ჯარს და ნება არ მისცეს მინისტრებს აიძულოს იგი რევოლიუციის მოსახდენად.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

ლონდონი. (14 მარტი). მთელ მხარეში განწყობილება ძლიერ გამწვავებულია.

მიუხედავად იმისა, რომ ქვედა პალატაში უმნიშვნელო საკითხები ირჩევა, თითქმის ყველა წევრი ესწრება. ქანდარაზე ტევა არ არის. პარლამენტის გარშემო აუარებელი ხალხია შეკრებილი; მინისტრების მოსვლას ელიან.

პრესაში დ მიტინგებზე მეფე ხშირად ხდება ხოლმე მკაცრი დაცინვის საგნად.

15 მარტს საჯარო მიტინგზე ლონდონის შუაგულში ბერნარ შოუმ ასეთი ფრაზა წარმოსთქვა, რომელმაც დამსწრეთა საერთო ხარხარი და ტაში გამოიწვია.

— გასაოცარია, როგორ სწრაფად მემარცხენდებიან ჩვენი მეფეები. დედოფალი ვიქტორია—ტორი (მემარჯვენე) იყო, მეფე ედუარდი—ლიბერალი, ეხლანდელი მეფე გიორგი კი, ალბად,—სინდიკალისტიაო. საგულისხმოა აგრეთვე ერთი წერილი რედაქციის მიმართ „Daily Cituzen“-ში მოთავსებული. წერილი ეკუთვნის პარლამენტის წევრს, ცნობილ მწერალს, გამოჩენილ მეცნიერს, პოლკოვნიკ დიინჩს:

— ერთი კაცი ჩვერია ჩვენ საქმეებში. მან ლიბერალური პარტია კინაღამ არ დაღუპა, აგრეთვე კანონიც, რომლის შემუშავებაზე მილიონი მოქალაქე შრომობდა. მაგრამ, ეტიკეტი ნებას არ გვაძლევს დავასახელოთ იმ კაცის სახელი. მკვრეხელობასავით დიდ ბოროტებად ითვლება, თუ ვინმე შეეკითხა, რა გააკეთა ამ კაცმა თავის სიცოცხლეში, ჭკვიანია თუ არა იგი, ვისგან მიიღო რწმუნებულება, და საერთოდ, რის გულისათვის უჭირავს ეს ალაგი.“

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

18 მარტი.

უცხოეთი.

ტოკიო. ბოროტმოქმედებისთვის დაატუსაღეს ადმირალი მაცუმოტო კურეს ნავთსადგურის ნაუფროსალი. ახალი კაბინეთის შედგენის შესახებ იტყობინებიან, რომ კუსუნოზემ განაცხადა, სამხედრო მინისტრად იმ პირობით დავრჩები, თუ მომავალ წლიდან ჯარის რიცხვი გადიდდებაო.

ბერლინი. დროებითი კანონი რუსეთიდან ახალი ხორცის დაკლებულ ბაჟით შემოტანისა 18 მარტიდან ძალას ჰკარგავს.

ტრიესტი. 60 კაცისაგან შემდგარი ავსტრია-ჰუნგრეთის რაზმი, რომელიც ალბანეთში საერთაშორისო გამმიჯვნელი კომისიის მახლობლად იყო, სკუტარიში დაბრუნდა რადგან გამიჯვნის მუშაობა შესწყდა.

ვენა. ლიდნერისა და პეტრიჩის საქმე დასრულდა. მათ ჯაშუშობა ჰბრალდებოდათ. მიუსაჯეს: ლიდნერს ორი და პეტრიჩს 2 ნახევარი წელიწადი კატორღა. წინასწარ დატუსაღების ხანაც ჩაუთვლიათ.

რომი. საღამოს გაზეთები რკინის გზის საკითხს უბრუნდებიან. სარკინისგზო ფედერაციის დასაკმაყოფილებლად 35 მილიონის ხარჯის მომატება მოგვინდებაო.

რომშეტ-კაიოს საქმე.

პარიზი. გამომძიებელმა კომისიამ რომშეტის საქმის შესახებ გადასწყვიტა მონისის კაბინეტის ყველა წევრები დაიბაროს, რომ შეამოწმოს გაზეთების ხმები, ვითომც ერთს ნამინისტრალს პუანკარესათვის განეცხადებინოს, ჩემ მინისტრობის დროს დიდი ქრთამი შემომაძლიეს, თუ რომშეტს დავეხმარებოდიო.

აჯანყება.

სკოპლე. ოსტროზუდის თემის ალბანელები სერბიელთა წინააღმდეგ აჯანყდნენ. იმათ დრენიცის ოლქის ალბანელებიც შეუერთდა. სერბიელთა მხრივ 15 მოკლულ დაჭრილია. ალბანელებმა ტყვედ წაიყვანეს სუხარეკის მაზრის უფროსი. აჯანყებულთა წინააღმდეგ გაიგზავნა ჯარი ტყვიის მფრქვეველებით და სამთო ზარბაზნებით. ჰფიქრობენ, აჯანყება არ გაფართოვდებაო,

ფრანა.

ფრიდრიხსჰაფენი. ახალმა „ცეპელი № 8“ სიმაღლის ახალი რეკორდი აიღო. დირიჟაბლი სამ ვერსს (3065 მეტრი) ასცილდა.

იოჰანნისტალი. მფრინავმა ლინნეკოგელმა რუმპლერის აპარატით სიმაღლის ახალი რეკორდი დაადგინა. იგი აფრინდა 6 ვერსის სიმაღლეზე (6300 მეტრი),

სტრასბურგი. ჩამოვარდა ბიპლანი. მფრინავი პორუჩიკი შულგი მძიმედ დაშავდა. მეთვალყურე რეინგარდტი მოკვდა.

რუსეთი.

მუშათა ცხოვრება.

პეტერბურგი. ქალაქის უფროსის ცნობით პეტერბურგში დღე-ღამის განმავლობაში ავად გახდა კიდევ 168 მუშა. „ტრეუგოლნიკის“ სამრეწველოში ავად გახდა 75 ქალი და 3 კაცი; 1200 მუშა ქარხნიდან წავიდა, რადგან ეშინოდათ ჩვენც ავად არ გავხდეთო. „ლაფერმის“ თამბაქოს ქარხანაში ავად გახდა 90. ავადმყოფობის ნიშნები იგივეა, რაც წინა შემთხვევებში.

დილით პეტერბურგში 60 მუშა-ქალი გახდა ავად. „ლაფერმის“ ქარხანაში ავად გახდა 40, რეზინის სამრეწველოში—20. 17 მარტს გაფიცული პუტილოვის ქარხნის 15,000 მუშა მუშაობას დაადგა.

ნეაპოლი. ნავთსადგურის მუშები გაიფიცნენ.

ბათომი. მთიელთა სოფელ თებეთის ახლო თოვლის ზვავმა 4 გლეხი იმსხვერპლა, 6 მძიმედ დაშავდა.

პეტერბურგი. ანტვერპენში მყოფი რუსეთის ელჩი იტყობინება, გაზეთების ცნობა, ვითომც ანტვერპენიდან აფრიკაში წავიდა გემი 230 რუსი-ემიგრანტით, კონგოს რკინისგზაზე მძიმე სამუშაოებისთვის, სიმართლეს მოკლებულიაო.

მოსკოვი. ხანჟონკოვის კინემატოგრაფიულ სურათების საწყობს ცეცხლი წაეკიდა. ცეცხლის წინად მოხდა აფეთქება, რომელმაც იმსხვერპლა ინჟინერ-ელექტროტეხნიკი ბესსინგენი და მექანიკოსი პეტრიკოვსკი. ორი მსახური მძიმედ დაშავდა. ზარალი დიდია.

თეატრი და ხელოვნება

ქართული წარმოდგენა. დღეს ქართულს თეატრში წარმოდგენილი იქნება ცნობილი პიესა კარეევისა „უბედური ნაბიჯი“, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობს ნინო ჩხეიძე. ნ. ჩხეიძეს გარდა პიესაში მონაწილეობას ღებულობენ, გუნია, ზარდალიშვილი, ქიქოძე და სხვანი.

აკაკის ახალი პიესა „სიყვარული“ ამ დიდ-მარხვის სეზონში იქნება წარმოდგენილი. პიესას შალიკაშვილი სდგამს. როლები განაწილებულია დასის საუკეთესო ძალთა შორის. ამ პიესასთან ერთად წარმოდგენილი იქნება ბ. კოწია ერისთავის დრამატიული სურათები „ბრმა“. ესეც ახალი პიესაა და პირველად იდგმება ქართულ სცენაზე.

სახალხო სახლი ძმ. ზუბალაშვილებისა. სამშაბათს, 18 მარტს, სახალხო სახლში ქ-ნ ოლ. ლეჟავას მონაწილეობით დასმა წარმოადგინა გუნიას მიერ გადმოკეთებული მხიარული კომედია „ალლუმი“. უნდა ითქვას, ეს კომედია სახალხო სახლში კარგად მიიღებენ; ესევე იყო სამშაბათსაც, რასაც ხელი შეუწყო ქ-მა ლეჟავამ (კნიაჟნა ნუცა) თავისი მკვირცხლი და მხიარული თამაშით. ლეჟავას მოულოდნელად მოუხდა გამოსვლა „ალლუმში“. მიუხედავად ამისა, მის მიერ განსახიერებული უმანკო და სიცოცხლით სავსე ნუცა, საუცხოვო იყო. სცენის მოყვარეებიც ისახელეს თავი. პიესა კარგად იყო დადგმული.

შაბათს, 22 მარტს, ჩვენი სასიქადულო მსახიობის ვასო აბაშიძისა ([illegible]) და ქ-ნ ლეჟავას (მაშიკო) მონაწილეობით სახალხო სახლშივე გაიმართება მორიგი წარმოდგენა. ითამაშებენ ცაგარლის „ციმბირელს“, რომელშიაც, გარდა გასტროლიორებისა, როლები საუკეთესო ძალთა შორის არის განაწილებული.

დ. ჭიათურა. ცხრა მარტს ადგილობრივი დრამატიული საზოგადოების გამგეობამ, ძვირფას მწერალ-მოღვაწე ქალის **ეკატერინე გაბაშვილის პატივსაცემად** გამართა წარმოდგენა თვით მწერალი ქალის თანადასწრებითა და ხელმძღვანელობით.

წარმოადგინეს მისივე პიესა „ნიგილისტკა“. ცხრა საათზე თეატრის დარბაზი უკვე სავსეა ხალხით. გამოჩნდა თოვლივით თეთრი თმით მოსილი, პატივცემული მწერალი ქალი. მას მთელი საზოგადოება მხურვალე ტაშის ცემით მიეგება. მწერალი ქალი საზოგადოებას თავაზიანად უხდის მადლობას და ჯდება მისთვის განსაკუთრებულად მომზადებულ სავარძელში.

პიესის დაწყებამდე წაიკითხეს მწერალი ქალის მოკლე ბიოგრაფია. ამის შემდეგ კვლავ გამოიწვიეს იგი და მხურვალე ტაშით დააჯილდოვეს.

პიესამ საკმაოდ კარგად ჩაიარა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქ. ქილარჯიშვილი და ქ. ლოლუა.

წარმოდგენის შემდეგ ქ-ნ გაბაშვილისა კვლავ გამოიწვიეს ტაშისცემითა და ვაშას ძახილით გააცილეს იგი.

იტი.

წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თიანეთის საზოგადოების სიას, რომელმაც კეთილ ინება და კონებრივად დახმარება გამიწია უცხოეთში უდიდესი ჩემი გაჭირვების დროს. ამ გვარი წმიდა თანაგრძნობა აღნიშნული საზოგადოებისა მახალისებს და მეტს ძალას მმატებს ცხოვრებასთან ბრძოლისათვის:

თ. ლ. ნ. ჭავჭავაძე 2 მ. ა. ტ. მოგულნო 1 მ., ს. მ. ხუციშვილი 1 მ., ს. გ. ნამურაძე 1 მ. ო. პ. თურქაძე 50 კ. ნ. ი. ვაშაძე 1 მ., ო. ნ. ლევოვა 1 მ., ს. ა. იორამოვი 2 მ., ი. გ. გოჯიევი 1 მ., კაჩაროვსკი 1 მ., ნასკიდოვი 1 მ., ი. თ. ჩიბალაშვილი 1 მ., ი. ბოძაშვილი 1 მ., მ. გოჯიევისა 3 მ., ქ. ხარანაული 50 კ. ნ. ბ. ზამანაური 1 მ., პ. აკოფოვი 50 კ., ა. ხარატოვი 20 კ., გ. საარქისოვი 40 კ. გ. გელოვანი 1 მ., ექ. ნ. კლიმიაშვილი 3 მ., ექ. ა. ცაგარელი 1 მ., გ. ვართანოვი 1 მ., მღვ. გრ. ქინქველაძე 2 მ., თ. ი. ყარალაშვილი 3 მ., მ. მ. მებნიაური 1 მ., ს. ს. მარჩევსკი 5 მ., ბ. ბ—ლი 3 მ. ჯამი: 38 მ. 58 კ. მანეთი და 41 კაპ. გამოსაგზავნი, დანარჩენი 37 მ. 17 კაპ. მივიღე. გულწრფელი მადლობა აგრეთვე ოლა გიორგის ასულს იორამოვისას და ი. ლ. აბრამიშვილს, რომელთაც თავს იდვეს ინიციატივა.

პატივისცემით: **ს. ბადურაშვილი.**

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ მომცეთ საშუალება, თქვენი გაზეთის ფურცლებზე უღრმესი მადლობა გამოუცხადო ბ-ნ ვლადიმერ ნეზაბიტოვსკის, რომელმაც სცენის მოწყობილობა დაუთმო ჩემ მიერ გამართულ წარმოდგენას 16 მარტს, რკინის გზის კონდუქტორების ორკესტრის ანტრაქტებში უფასოდ დაკვრისათვის და ყველა სცენის მოყვარეებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს წარმოდგენაში. წარმოდგენის გამართვა ჩემ მიერ იყო დასახმარებლად ქ. შ. წ. კ. საზოგადოების გამგეობასთან არსებულ სექციისთვის.

სექციის თავმჯდომარე გიორგი **გვარამაძე.**

რედაქტორი **ნ. კურდღელაშვილი.**
გამომცემელი **ა. ჯაჯანაშვილი.**

მრავალ ფერი ბროლის საპონი.

ვინც რეგულიარულად ხმარობს ამ საპონს, მშვენიერი ფერი ექნება, კანი ხავერდისებრ რბილი და ჩვილი ხდება.
ნამდვილი მხოლოდ მე— „№ 4711“.
ნაჭერი 25 კ.
ერთად-ერთი ფაბრიკა: ფერდ. მიულგენსისა.
1020 პარფიუმერია კელნი, რიგა.
Метпль. 547912.

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
გოლოვინის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.
დილით:
„606“ და „914“
11—12 ს. შეშხაპუნება
კონსულტაციურად.
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. ავახაროვა: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
ზ. ა. ბანახოვა: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
გ. გ. ზენ[illegible]მანოვი: 10—12 ს. ყურისა ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი ავადმყოფობა და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ო. გ. ტერ-დავთიანისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.
საღამოთი:
მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.
1071

სამშობიარო
თავშესაფარი
თუხარელისა
გადავიდა საკუთარ სახლში, გოლოვინის პროსპექტის ახლოს, ვოლოვოზნის შესახვევი № 8. მიღება მშობიარეთა ყოველთვის დღე და ღამე, საამბულატორიო მიღება ავადმყოფებისა, მასსაჟი და ყვავილის აცრა საღამოს 4 ს.-დან 5 ს.-მდე. 1511

გამოვიდა და ისყიდება
ყველა წიგნის მაღაზიებში
ზ. იშხანიანის
წიგნი (რუსულად), შემდეგის სათაურით
„ეკონომიური და საზოგადოებრივი საფუძველნი სომეხ-ქართველთა ანტაგონიზმისა“.
„გუტენბერგ“-ის წიგნის მაღაზიის გამოცემა, ფასი ორი აბაზი, წიგნი 96 გვერდიანია. 1118

ბათომში
ვექილი
მიხეილ ნასიძე
სცხოვრობს კარანტინის ქუჩაზედ, სახლი № 105.
მიიღებს სასამართლო საქმეების გამო ნაშუადღევის 4 საათიდან 8 საათამდე. 176

მაქვს პატივი ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ



მივიღეთ
ზაფხულის სეზონის ყოვლანაირი
ფეხსაცმელი
პეტერბურგისა და ვარშავის მექანიკური საუკეთესო ფირმების ნაწარმოები. **ფასები საქარხნოა** აგრეთვე საკუთარი ნაწარმოები.
პატივისცემით **თომა ჯანყარაშვილი** მუხრანის ქ. № 2. 172.

კავკასიის პირველი ამხანაგობა
შეკერილ ტანისამოსისა
ნიკოლოზის (კუკიის) ხიდი 28—30.
ამით ვაუწყებ ტფილისის პატივცემულ საზოგადოებას, რომ **მიღებული გვაქვს დიდ-ძალი რჩეული ტანისამოსი, უკანასკნელ ფასონით შეკერილი**
კაცებისა, ქალებისა და ბავშვებისათვის
რათა მომავალ სეზონისათვის ეხლანდელი საქონელი აღარ დაგვრჩეს,
დავნიშნე
უდიდესი იაფი ვაჭრობა
ნამდვილ ღირებულობაზე 60% ის დაკლებით.
მაღაზიაში არსებულ საქონელზე **ფასები** დანიშნულია
შეუვაჭრებლად
იაფ ვაჭრობის დროს გაყიდულ ტანისამოსის გადაკეთებას არ ვკისრულობთ.
1126 დავშთები პატივისცემით ფირმის გამგე **ა. ი. კაჯიანი.**

მაღაზია და სარდაფი
(სააუქციონო დარბაზის ძველი ბინა)
ქალაქის შენობაში, ველიამინოვის ქუჩაზე, პოლიცმეისტრის სამართველოს ქვეშ,
ქირავდება
პირობების გასაგებად შეიძლება მიჰმართონ ქალაქის გამგეობის კანცელარიის საიჯარო მაგიდასთან. ამ მაღაზიის
იჯარით გასაცემად
საჯარო ვაჭრობა
დანიშნულია მიმდინარე მარტის 26-ს.
შეიძლება გაქირავება მთელი მაღაზიისა უსარდაფოდ და აგრეთვე მაღაზიის ცალკ-ცალკე თვალის გაქირავებაც. 1123

თევზის მრეწველნი
ძმ.
ძეგველოვები.
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.
ტელეფონი № 712.

განყოფილება
ავლაბარში
ფოსტის განყოფილების ქვეშ, საკუთარ სახლში.
იყიდება
იმავე ხარისხის
საქონელი,
როგორც პუშკინის ქუჩაზე.
1081

მაღაზია
„ექსელანს“-ი
სავ. სახ. ა. ე. და ა. დ. აკოფჯანოვებისა და ამხ.
ტფილისი, გოლოვინის პროსპ., სახლი მანთაშევისა, საზოგადოების საკრებულოს ქვეშ. ტელეფონი № 196.
რადგანაც მივიღეთ დიდ-ძალი შეკერილი რჩეული ტანისამოსი **კაცებისა, ქალებისა და ბავშვებისათვის**
აღდგომის მოახლოვებისა გამო დავნიშნეთ
☛ უდიდესი იაფი ვაჭრობა ☚
მეტის-მეტად იაფად. გარდა ამისა მიღებული გვაქვს
დიდ-ძალი რჩეული საქონელი,
რუსეთული და საზღვარ-გარეთული საქონელი, ყოველ-გვარ შეკვეთისათვის, რომელიც გამოცდილ გამომჭრელისა მეთვალყურეობით სრულდება.
საშური შეკვეთას 24 საათის განმავლობაში ვასრულებთ. საქონლისა სიიაფეში და აურაცხველ რჩეულ საქონლის ღირსებაში გთხოვთ თვითონ დარწმუნდეთ.
ფასები შეუვაჭრებლად.
1120

ტფილისი, სტამბა „შრომა“, მუხრანის ქუჩა. ტელეფონი № 14—42.